

სემპლიკ დიმოვნება

№ II ბერეული ქურნალი 1911 წ. 20 თებერ. № II

ქ ი ნ ა რ ს ი:

1. a) მოწინავე
 b) მოწინავე
2. და შეეწინდა
3. ლიტერატურული შენიშვნები
4. ჩემი სიმღერა
5. ფიქტები და შენიშვნები
6. წინასწარმეტყველი
7. გმირთა საფლავებთან
8. * *
9. ოეთტრი და ხელოვნება
10. ბინძური ქოჩორა
11. გურული სცენები

- დ. კასრაძე.
ი. ვართაგავა.
ტ. ტაბიძე.
W.
ს. კლდიაშვილი.
ი. მჭედლიშვილი,
ახოსპირელი.
კ...
ას. პრ—ფია.
ას. პრ—ფია.

დამატება — „როსტომიანი“ ი. აბულაძის რედაქტორობით. 1—14 გვ.

გლეხის განთავისუფლების 50 წლის თავის გამ.

1861 11
19 1911



ბატონი და ყმა. (ილია ჭავჭავაძის გაკრ ქაზადიძის) ნახატი ო. შეერლინგის.

სხემის საილოვნებელი

№ 11 გვირეული ქურნალი 1911 წ. 20 თებერ. № 11

კიბერი

ძვირი ჯდება, გთხოვთ უურნალი წლიურათ
(5 მან. შეიძლება ათ-ათ შაურობათ შემოტა-
ნა) გამოიწეროთ. თუ უურნალი რამე მიზეზის გამო დაიკეტა, ხვედრი ფუ-
ლი ხელის მომწერთ უსათუოდ უკანვე დაუბრუნდებათ.

რედაქცია აცხადებს, ვინც ხვედრ ფულს არ შემოიტანს, უურნალი აღარ
გაეგზავნება.

ტფილისი, 20 თებერვალი.

ქართული სცე-
ნა სეზონის წარწოდებენაა ქართულ
შემდეგ. დრამ. საზოგად დასისა.
ხვალიდან იწყება დიდი მარხვა და მის-
თან ვნების გრძელი დღენიც ქართველ
მსახიობთათვის.

იგერ 33 წელიწადია რაც ქართული
სამუდამო სცენა დაარსდა და რაც ქარ-
თული დასი მუშაობს და ვერ იქმნა! —
მისი ეკანომიური ბედ-ილბალი ვერ ჩად-
გა თავის ქართებულს კალაპოტში.

ტფილისისა და ქუთაისის დასი, რო-
მელშიაც ორმოცდა ათ კაცზე მეტი
იქნება და რომელშიაც ბევრი ხანში შე-
სული და გაჭალარავებულიც ურევია, ამ-

დენი ხალხი, სექტემბრის დამლევამდე
ლვთის ანაბარად უნდა დარჩეს.

ჩვენი დასი მხოლოდ ასე თვე მუშაობს
წელიწადში, ხოლო დანარჩენი დრო
გულხელ დაკრებილი ზის მეორე სეზო-
ნის დაწყებამდე.

მართალია, თითო-ოროლა მსახიობნი
ეწვევიან ხოლმე, ჩვენს ზოგიერთ დაბა ქა-
ლაქებს, მაგრამ ეს «ტურნე», ზოგიერთი
შემთხვევის გარდა, ისე უსისტემო და
უფერულია და ხელოვნების მხრივ ისე
უშნო, რომ ჩვენ მსახიობთა ამ გვარ მო-
ღვაწობაზე აოც კი ლირს ლაპარაკი.

გამგეობა დიდის მარხვიდან ანტრეპრი-
ზას თავს ანებებს ხოლმე, ხოლო თვითონ
მსახიობნი ამხანაგურ ჯგუფებად იყოფვ-

ბიან და დაქუცხაცებული ძალა საზოგადოებას ვკრ იზიდავს.

ამ რიგად ქართული დრამა დაქტიურად სეზონის შემდეგ ღვთის ანაბარად არის დარჩენილი და მაზედ არც არავინ სწუბს, არც არავინ ზრუნავს.

განა დრო არ არის ამ სივაგლახეს რაიმე ეშველოს? დრო არ არის განა რაიმე ღონე იღონოს იმ დაწესებულებამ, რომელიც განაგებს ქართული თეატრის ბედილბალს? ჰათ ჰათ რომ დროა.

ჩვენ სწორედ ახალი გამგეობისაგან მოველოდით, რომ ამ საქართველოს კითხვის გამოსარკვევად შესაფერ ფხას და უნარს გამოიჩენდა, რადგან აწინდელ გამგეობას მაგისათვის დროც და გარემოებაც საქმიად ხელს უწყობდა.

თეატრი გამგეობას სამის წლით აქვს აღებული და მაშასადამე ადვილად შეეძლო დასი მთელი წლობით თუ არა რვა-ცხრა თვე ემუშავებინა, რა თქმა უნდა, უფრო შელავათიანის პირობებით, ვიდრე სეზონში ამუშავებდა.

ჭუთაისის ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობა, როგორც გაზეთებმა გაღმომგვცეს, უკვე შესდგომია ამ აზრის განხორციელებას და დიდი მარხვიდან დასი იმუშავებს მაისის დამლევამდე, ხოლო ორი თვე შეისვენებს და აგვისტოდან შეუდება მზადებას შემდეგი სეზონისათვის. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში დასი უფრო მეტს აღლოს გამოიჩენს მეცადინებისას და უფრო გულდადებით და ხალისიანად იმუშავებს.

ამ ჟამად ჩვენს გამგეობას წლიურ ჯამაგირზე აცვანილი ჰყავს ერთი ჩვენი დამსახურებული და ნიჭიერი მსახიობი ვ. აბაძე, რომელიც შედარებით მცირე ჯამაგირს ღებულობს, სამაგიროდ ეს ჯამაგირი მთელი წლის განმავლობაში ეძლევა.

გამგეობას შეეძლო ასევე შეეპირებინა სხვა საჭირო მსახიობნიც და მაშინ ნებაუნებლისე იმუშავებდა მათ მთელის წლის განმავლობაში და თუ არასფერს მოიგებ-

და ყოველ შემთხვევაში არცა არის ფრის წაგებდა, ხოლო მსახიობთ ჭარბი წლიურად მაინც უზრუნველს ჰყოფდუდადითება თუ გამგე ბა თეატრის აღმინისტრაციაზე—სცენის მუშებზე, კაპელლინერებზე, სტოროუებზე, რეკვიზიტორ-ბუტაფოზე, გარდერბობისა და ელექტრონზე მომუშავებზე, ზედა შედველებზე წელიწადში ათას თუმანზე მეტს ხარჯს ეწევა, განაუფრო უპრიანი, ნაყოფიერი და სამართლიანი არ იქნებოდა, რომ ნახევარ ფასზე დასიც ემუშავებინა წლიდან წლობამდე და ხშირი იაფ ფასიანი წარმოდგენები ემართნა?

შემოსავალს ხომ წარმოდგენები იძლევა და დღემდისინ გამგეობის უმთავრესი ქონებრივი წყარო მხოლოდ წარმოდგენების შემოსავალი იყო და არის.

საჭიროა ქართულ თეატრის და სცენის მოღვაწეთა საერთო კრება.

ქართული თეატრისა და სცენის საქმე დღითი დღე ფართოვდება, დღითი დღე ახალს კითხვებს აყენებს საზოგადოების გადასაწყვეტად.

აგერ უკვე ორი წელიწადია, რომ ჩვენს მოწინავე საზოგადოებისა და მწერლობაში სურვილი დაიბადა, რომ მოწვეულ იქმნას ქართულ თეატრისა და სცენის მოვაწეთა საერთო კრება.

ამ კრებას მრავალი საგულისხმიერო საგნები ექნება განსახილველი, მრავალი საჭირ-ბოროტო კითხვები ექნება გადასაწყვეტი, მრავალი პრინციპიალური და კერძო დებულება ექნება გამოსარკვევი...

ამ ორი წლის წინედ ჩვენს მწერლობაში ბევრი ლაპარაკი იყო იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამობრუნდეს ქართული სცენა, თუ რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი უფერული ხელოვნება, რომ შესაუერი ადგილი დაიჭიროს ჩვენს კულტურულ წინმსვლელობაში.

მართალია, წელს ბევრს ლაპარაკობდენ და სწერდენ ჩვენის თეატრისა და სცენის

ვითომდა განახლებისა და აღორძინებაზე,
მაგრამ, როგორც ყოველი ჩვენებური
ლაპარაკი და წერა, იგი ან ცალმხრივი
იყო ან ძალზე აღტაცებული და სინამდ-
ვილის ნიადაგს მოშორებული.

დრამატიული საზოგადოების გამგეობა-
ნი, წარმოდგენების მართველი წრეები და
ჯეფუფები ამ ბოლოს ღრმს შესამჩნევად
გამრავლდნენ და ყოველი მათგანი თავის
ვიწრო ინტერესებისა და კეთილდღეობის
სფერაში მუშაობს. არ არის მათ შორის
საერთო იდეა, საერთოდ შემუშავებული
გეგმა და მობილიზაცია.

ქართული სასცენო ხელოვნების სარ-
ბიკლო მეტად ვიწროდ არის შემოფარგუ-
ლი; არ არის რაონები წარმოდგენების
ხელოვნების ფრთხების გასაშლელად. მთა-
ვარი ადგილები—ტფილისის და ქუთაისის
სცენები თავიანთ საკუთარ წევნება და

ოფლში იხრაკებიან უნაყოფოდ.

ზარალი და დეფიციტები, ნაკლი თუ
ლირსება ორთავე სცენებს ფაზურიყოფა უნ-
დავთ და ყველა ამ კითხვათა და სხვა მრა-
ვალ საგულისხმიერო საგნების გამოსა-
კვლევად და გასათვალისწინებლად აუ-
ცილებლად საჭიროა საერთო კრების მო-
წვევა:

ინიციატივა ამ კრების მოწვევისა უსა-
თუოდ თავს უნდა აღვას ტფილისის ქარ-
თულ დრამატულ საზოგადოების გამგეო-
ბამ და ეს კრება უსიკვდილოდ ამ დიდ
მარხვაში უნდა მოხდეს, როდესაც დროც
და გარემოებაც ყველას ხელს უწყობს ამ
კრებაზე თავის მოსაყრელიდ.

ახალი გამგეობა იმედია ამ საქმეს დრო-
ზე უპატრონებს და დიდის ხნით მომწი-
ფებულ სურვილს საზოგადოებისას დრო-
ზე განახორციელებს.



၁၃ ပြောစုနှင့်။

Пусть жертвеникъ разбить.

Огонь еще пылает;

Пусть роза сорвана—

Она еще цвѣтеть!—

ნარსონი

No. ১০৬৯০

(*đo*ng).
đo

... და ყოველისფერი სამეჯლისოდ ემ-ზადებოდა. ცის კაბაღონზე ამოცურებული მნათობი ოქტოს სხივების სამოსელით მოკაზმულიყო). ფიქალი მკერდი ლალ სიოსათვის გადაეშალა და არ შეიყობით დამთვრალი, გულში ჰეხობოდა ნეტარებით იღიმებოდა. დაბლა კი უეცრივი ყი-ჟინი ჟეიქმნა. თითქოს ბუნება მკვდრე-თით აღზდგა, საზეიმოდ ფრთხები გაშალა და „მრავალ-ჟამიერი“ ციური ჰანგით ჟეპლილინა სხივმფენ დედოფალს. ფრინ-ველებიც გუნდ-გუნდად იშლებოდენ, ულმურტულ-ელივილით ჰიმნს ართავდენ და, დედამიწა რომ არა ჰყოფნილათ, ცის-კენ იწევდენ სანავარდოდ. ყვავილები კი

გულის ფანცქალით განაბულიყვნენ, სმე-
ნად გარდაქცეულიყვნენ და მეტყველება
დაღუმებულნი, გულიდან ამონაკმევ სურ-
ნელოვნებას გუნდრუკის ნაცვლად სწი-
რავდენ თავის მასიცოცხლებელ მსოფ-
ლიოს თვალს.

— წმიდაო, წმიდაო, წმიდაო!.. — გასმა ხმა. ირგვლივ მიდამომ ყური სცენიტა, თთქმს ეჯუცხოვა, რომ ჰარმონიის ნაზი ხლართი შესწყყიტა. ამ ხმამ.

— უფალო საბაო!.. — განავრძობდა
უგივე ხმა.

— ვის უძღა იყოს? — გათცვითოებით
იკითხა იამ.

— აბა რა ვიცი, — უპასუხა იშაზე არა

ნაკლებ განცვიფრებულმა საამურად აყლორტილ ზამბახმა. მაგრამ მათ განცვიფრებას მალე მოელო ბოლო. უეცრივ აქროს ფრად შეღებილ მდინარის ზეირთებზე გამოჩნდა ნავი, რომელსაც რამდენიმე ქალწული მოაცურებდა. მათ უხაროდათ, რომ ახალი დობილი შეიძინეს. ის კი, ის იჯდა მათ შეუ და კურცხალ ცრემლებს მდუღარედ მოაფრქვევდა ვაშლნაბაშ ღარებს.

მას ამ ესმოდა დობილთა ოლტაცებული გალობა, არც ბუნების მეჯლისი. იგი შორს სიგრცეს გაჰყურებდა, მთლად ჩაკარგულიყო. შავ ფიქრებში და ერთ წერტილს შესციალებდა შუქურივით. ეს იყო მისი საყვარელი ის, ვინც რომ დასტოვა იქ, ნაპირებზე. მისი ტოლები კი ათასში ერთხელ თუ შესწყვეტდენ სალრმთო გალობას, ესეც იმიტომ, რომ თავიანთ ახალი დობილი გაემხნევებიათ და დაერწმუნებიათ, რომ ხორციელი ქვეყანა სულთან შედარებით სრულიად არასფერს წარმოადგენს და რომ მაცხოვართან შეწინდება უაღრესია ყოველ-ნაირ ქორწინებაზე. მაგრამ ქალწული მაინც სტიროდა, ცრემლებს აფრქვევდა და თავის დობილთ ეს უკანასკნელი ნუგეშიც ვერ ამხნევებდა.

აი, ნავმა შემოჰკარა ჩანჩქარს ცხვირი ზედ მოსახვევოან. ფერდაბის კალთა რკალსავით გზას უზღუდავდა მდინარეს და ესეც, გაცოფებული, რომ ეს ზღუდე გადაენგრია, ვეფხის ნახტომით ასკდებოდა და, შადრევანსავით შეშრიალებული, დაფქულ მარგალიტსავით იბნეოდა ჰაერში და ახალ ზეირთებში გადახალისებული სხვა გზას ეძებდა გასასვლელად. ქალწულთა მარჯვე ნიჩბის მოსმამ შეტორტმანებული ნავი კვალად დონეზე დააყენა და შემდეგ იმავ გალობით განაგრძეს. ზევით.

მთელმა გრეხილმა თითქოს რომ ფარდა ჩამოუშვა მის თვალების წინ. ქალი შეტოკდა. ამაოდ შეეცადა ძველი კიდურისთვის მოევლო თვალი, ამაოდ ეძებდა საყვარელ მას, ვისი აჩრდილიც თან მოს-

დევდა ვით მავნე სული. ეხლა კა გვთბნო დაშორება, გულის ტკივილი. იპტელივ ნაპირზე ველურად გაუშეიტუროთშე ნებაც თითქოს მაცდურის სანახაობით ჯადოქრობდა: პირ-გაპობილი ასკილის ვარდები თუ თავმომწონედ სადღესაწაულოდ დართული ყვავილები მტყვევნელი სახით ხელს უქნევდენ და ნაპირზე იწვევდენ საცეკვავად.

— სად მისდევ მაგათ, ჩვენსკენ, ჩვენსკენ... ვერა ჰედავ, კეკლუცი მაისი მოსვენებას აღარ იძლევა, გაფიცხებული ტუჩებით პირს გვიკოცნის, ვნების აღს გვიქრობს...

არშიყმა ნიავმაც ამ დროს განგებ გაითამაშა და ფოთოლი ფოთოლს კოცნის ტყლაშუნით შეაწება, შემდეგ გიუმაურად დაიქურავა, ფრთა ფრთას შემოჰკრა, ლაქვარდ ზვირობს შეაცქრიალდა, მათი წინწელებით შეიგრალა გახურებული გული და ნეტარებით დამთვრალმა ისლოვან ნაპირებში მოიკალათა, საიდანაც აღნავ მიმტენარებულის ხმით ძლიობით წაიჩურჩულა:

— ახ, რა კარგია ქორწინება, კოცნა, მეჯლისი!..

გრეხილის კალთებზე ზურმუხტოვან მოლს ცხვარს მატყლსავით შექფინოდა, მხოლოდ ჩეროში წამოწოლი მწყემსი ბატყანს ჰკოცნიდა, მასაც სატრფო აგონდებოდა და რომ გაექრო გულის სევდა, ტრფიალის ალი, დაჲკრა სალამურს, გულ მომწყლულად დაარაკრაკა და შორის გამოძახილით ქალწულს აცნობა თავის სევდა:

— მეც ვიწვი ტრფობით, მეც შორს მყავს ჩემი გულის სატრფო, გულის მიჯნური... მაგრამ ბარი სდემს, ზეცა შორს არის, ნუგეშს არვინ მცემს!..

იქავ ნაპრალზე, გახურებულ პიტალო მანთხე უშველებელი ჯოჯო გამომძრალიყო, მახინჯი ტანი მზისათვის მიეშვირნა, სიამოკნებას განიცდიდა და გამალული რულშიც ამ სიტყვებს იმეორებდა:

— չոչշ զար, մացրամ սուլլեօն մայքս
ծննդուոտ ձավատիզ, առ համոց ՛՛ուրդը մու
ոյցրելուս, մեր մեղր մեջլուսո!..

Նազու կո Շեշիցաւուուզ մուելուուզ նյու-
զու, թվուրուեծ աշունդա սուրու մեցգրաւ,
սուրու մամաւաւ և միշուն նոհնուս սմաս
տան չպայցեմուզ մատու շալունաւ...»

Օգյու ուսոնու թոյաթլուազու մրուսեանց
թվուրուալս, հռմլուս թրուալունց արթո-
ւուս ծովածուուտ ցալմուուրուեմուզ ցանց-
ցուլուտ սազանց. որշալուուզ ցաւես եցուա-
նու ույ մուսիանդա, տուրյուս թիզանց ցա-
մուշպանուու չարուս կապնու սժարաջանենու.
մուս լանաեանց մատ շալունաւ Շեշիցաւուզ
և արտապայտ դաստակու:

— մուզելուտ, մուզելուտ! — թրուալուանց
մատ սիեաթլուս ზարուս եթամ մուսպա ձասւես,
ուսոնու սահյահրաւ ցալմուերնու, թաշիչպայս
կունա տացուս գունդուս, և սուլուպազուզ,
հռմ այ մշարունանց մուզանց լուտուս
Նամիշպամումդյ. Ծորուուտ հինդուս չեց՛՛
Մեյսեյնց, տան լուպալունազու, մացրամ
թալթուլու մտրուուզարյ Ռուհենուտ մեռ-
լունա մուս սաելուս սելունու լուպաս,
չուլու կո առա սիշպաէրազու սեզունու
եմուտ շալունասա:

“Կեռցրեծու Ռալլազ, Արյեմլուս նլազ,
սատու մումարյն?

այ սուրութլուտ հազ մմարեազ,
հազ մասամարյն?

—
չուլուսա ճամիշամ թրուունուս առու,
լուպա մացյ Շեմունաց,
մուն ճամրուունաց սեզու մալու
թալթուլուեծու ցայսրինու զարու.

—
մուսսա կունաս թայրուանս
նաձունու թջարու հռմ մուլցնու.
Արյեմլու ճազապրու, Արյեմլու նատուանս...
Արյեմլուս նլազու մատան մոնդա!

—
կոլուզ մուսու զար... ճամուրյելուս
չուր մուսթապրետ մուս տաց հիմս չուլուս;

Կամարս մորու Շամոյշպայուլս
ուզուոտ ալուուց և ապուց կալոյժիկութալու.

— Շիշպալուուս

Կեռցրեծու Ռալլազ, Արյեմլուս նլազ,
Շեն տան մոցպայուն
մացրամ ուրուց, զեր համությազ:
Սեցուս զեմուցուրյնու!

այ թշալունդա չունցեան:

մորին լուպասաւ. նալուլուտ ճանու-
թուլու թալթուլու ուզուալունուլու մուսդու-
զա մատ և սելուլուս առ ցայցեմուզ, հռ
ասարյելուտ մուս գունդունցու? նու ու սազա-
նուս ճամանուլու կուլուց օւյուս անդա-
մաթուրուս սալուտ արուն մոմաւունուն,
հռմ այ ույց ամատ չուլուսա?

մուզուց կուլու. ցալուանուս յարյեն
յրտուս ամեացուտ մոյցենեն. մեմյ լուգա-
ցուոտ ճանութա մաս, հռուցսաւ ուժումալունցուտ
մուպալս թիմունցարյ մուլունուլու տալց-
նուս կույթ ցարարյ. ճացուցեմուլու թայրու
տուրյուս ցալուցսաս չումալու. ասալմա Շու-
ելումա թրուտ ցամալա, ու պատպաթեծա.

Ծամուս յարյեն Շինամմալուարու մոմպու-
նար սաեւու մոյցենա. պայրտես ուր և, հռ
մութանա չզարու կորտանա, ալորտուուանց-
նուտ ըյուտեցա:

— ման Շեյթինցուց մակեռցահս հիյենսա
ույսու յուսուրյնս?

— Յու, Յու, մամառ, — տուրյուս յաթրու-
թանիսինիսուլու. յամպացուունցուտ սացե Շինամմա-
լուարմա չզարու սայունա մուխու, մաց-
րամ մուս ցայցուցեմուլու ծացյուտան Շեյցեամ
ամ ուր սացանմա ցայցրյուլու սածրալու յա-
լու, մութազեմուլու չուլուս զելար ցայցլու
և Շեյցուրա:

— առա, առաս ճրուս! մյ մեռլուդ մաս
Շեյթինցուց մու... — ու չոյան ցադցա. մուրի
ճրուցունցա սամարուսեմուլու սիխմեց ցար-
ճայկյա. տալցեծ ճայկյուլու յուրումո
մուուս մուցու ծոլուս ցոնից.

— առա առս սուցա, հռմ չոյալմա առ
մոցուցուցու... յու ռա տույու, Շուլու,
ուլուպացու...

— զոլուպա? — ալորտուունցուտ Շեյթ-
ինա ման.

— ო, არასოდეს! — შეშინებულისავით უკან-უკან იხვდა.

— ლოცვა, ლოცვა,— განაფრდო ათო-თოლებულ ხმით, — ნუ თუ ეს მომცემს რამე შვებას? — ო, არასოდეს! ნუ თუ გვა-ნიათ, რომ მთრთოლვარე ბაგით წარმო-თქმული ლოცვა გულში წარმიშლის იმის სახეს? — ო, არასოდეს! მე ვგრძნობ, სი-ცოცხლე მწყურს!.. არ მინდა სიკვდილი, არა, არა!.. ობოლი ვიყავ, აქვენ სხვის სიტყვებს რატომ აჲყვით? რად არა მკი-თხეთ, მსურს თუ არა თქვენთან დარჩენა? რატომ მხიბლავდით შორეული ცხოვრე-ბის სურათით? ჩემი სამეფო დამაშორეთ, მაგრამ მას ვერა... ის ჩემს გულშია... მას ვერაფერი დამავიწყებს, ვერც სტი-ქიონი, ვერც ჩრდილი ცაცხვთა ხეივანის, სადაც ოქვენ მუდამ ოცნებაში და ზმა-ნებაში ჰლევთ სიცოცხლის დღეთ! მაში იცოდეთ, რომ ვერ აღმკვეცავთ სასიკვ-დილოდ... მე მწყურს სიცოცხლე, მწყუ-რის... მწყურის სიცოცხლისათვის!..

და... ისიც გაჲქრა. შემქრთალი დობილ-

ნი წინამძღვარითურთ დაედევნენ, ძრიგვის ღა დასწვდნენ. მაგრამ ის უკვეჭრულებულის წვერზე შემდგარიყო და მუჭტყაყალის ბნელს წიალს ათრთოლებული გადაჲყუ-რებდა.

— არ მომეკაროთ, არა, არა... ნუ მომდევთ, ნუ, ნუ!... — შეპკივლა ქალმა. მთელი სხეულით ცახცახებდა.

ის ის იყო მისი დობილნი მის დაწდო-მას უნდა შეცდილიყვნენ, რომ ქალის კივილზე ძირიდან ამოქროლილმა ნიავმა საქორწილო კაბა აფრასავით აუფრიალა და კივილთან ერთად ბზრიალ-ტრიალით უფსკრულისკენ გადასტყორცნა...

მსხვერპლის დანახვაზე ნაპრალში მჯდარ-მა ორბმა წამოლუქროლა. ბარტყებთან მოალერსე დობილს გაჲყივლა და შვილდ-ისარსავით ძირს დაერჭო, მაგრამ ვიდრე თვალ-სისხლიანი ფრთოსანი მომარჯვებულ კლანებს გულში ჩაუყრიდა ფსკესისკენ მიმფრინავს მსხვერპლს, მან უკვე მოასწ-რო და... შეეწინდა თავის სატრფოს იქ... სულთ სამთავროს!..

ლიტერატურული შენიშვნები.

III.

იპ. ვართაგავა.

ნურავინ ნუ გვიწყენს და ვიტყვით, რომ ჩვენ არ გვყოლია და არცა დღესა გვყავს ევროპულად მოძალეულ-განვი-თარებული მწერლები. მხოლოდ ილია-ლა წარმოადგენდა გამონაკლისს, და ისიც ლიტერატურულ მოღვაწეობის პირველ ხანებში. ამას მოწმობენ მისი პირველი პუბლიცისტიკურ-ხელოვნური ნაწარმოებ-ნი. შემდეგში კი ილიამაც, როგორც ლომონოსოვმა, თვისი ძალა დაახურდავა. დაანაწილა და წვრილ-წვრილად დახარჯა უმთავრესად პრაქტიკულ საქმეებში (ეურ-ნალისტიკა, ბანკი, შ. კ. გ. საზოგადოე-ბა და სხვ.).

ასე რომ არ ყოფილიყო, და ილიას ლიტერატურა-მეცნიერების ერთს რომე-

ლიმე დარგში განსაკუთრებით ემეცადინა და ემოლვაწნა, მაშინ ის უეპველად მოი-ხევდა ნამდვილ ევროპულ მწერლის სა-ხელს და სამაცყო გახდებოდა კაცობრიო-ბისთვინაც. კერძოთ, პოეზიაშიაც კი ის დაიმსახურებდა დიდი ყურადღებას, თუმც, ჩვენის ღრმა რწმენით, ილია უფრო და-ბადებული იყო პუბლიცისტ-კრიტიკოსად და სახელმწიფო მოღვაწედ, ვინემ პოე-ტად... ილიას ჩვენში ლომონოსოვის ბედი ერგო. ლომონოსოვი დაბადებული იყო, როგორც მოწმობდნენ ეკრანის შესანიშნავი მეცნიერნის (კილერი და ვოლფი), მეცნიერად (ფიზიკოსად) და ამ დარგში მას შეეძლო გენიოსობა გამოე-ჩინა, მაგრამ არჩია, სამშობლოს სასარ-

გებლოდ, დაეხურდავებინა ნიჭი—ემეცა-დინა და ეშრომა მეცნიერების სხვა და სხვა დარღში: ისტორიაში, ფილოლოგიაში, ბუნების-მეტყველებაში, ხელოვნებაში, კერძოდ პოეზიაში, ასე გასინჯეთ ქარხანაც დაარსა. ამ მრავალ მხრივ და შედეგიან მუშაობით მან, როგორადაც სურდა, დაამტკიცა, რომ რუსის ხალხს ძალა შესწევს შეითვისოს ევროპული კულტურა და „აივილიზაცია. როგორც ვხედავთ, ლომონოსოვმა სამშობლოს დაუფასებელი ღვაწლი დასდო, მაგრამ პირადა თვისი ნიჭი შეაფერხა, გენიოსობა აიცდინა.

ილიასაც აგრე მოუვიდა: ის იღვწოდა ჩვენში როგორც ფინანსისტი, როგორც ურნალისტი და კრიტიკოს-პუბლიცისტი, როგორც მთარგმნელი, როგორც პოლე-მისტი და როგორც პოეტი... ნიჭი დახურდავდა, მაგრამ სამშობლომ ამითი ფარივდ ისარებლა. ამაშია უკვდავი ღვაწლი იღიასი! ის აცდა მსოფლიო დიდებას, მაგრამ გახდა სათაყვანებელი, დაუვიწყარი, უებრო მამულის შვილი.

სწავ ვინ იყო ან ვინ არის ჩვენში (აკაის გარდაც) ისეთი მწერალ-მხატვარი, რომელზედაც შეიძლება ითქვას, რომ ის ნამდვილ ევროპულად განათლებული იყო ან არის?

აღ. ყაზბეგი? ის ბუნებისგან ძლიერი მხატვრული ტალანთით იყო დაჯილდოებული, მაგრამ ნაცნობ ბიოგრაფების სიტყვით, მას აკლდა განვითარება, არ ეტყობოდა ლიტერატურული მომზადება, ქართულიც ნაკლებად იცოდა და თითქმის ისიც მოულოდნელი იყო, რაც შეჰქმნა. ევროპული განათლებული მხატვარი ყაზბეგის ნიჭით კი შესანიშნავ და წარმტაც მოთხრობებს შექმნიდა და კაცობრიობის ყურადღებას დაიმსახურებდა!

ვაჟა-ფშაველა? — ვაჟა დიდი ნიჭია, მძლავრი და ამაყი, როგორც მისი სამშობლოს არწევი; მქეფარე და დაუღალავი, როგორც ფშავეთის ნაჯადული; წმინდა და გამცოცხლებელი, როგორც

მთის ჰაერი. წყარო მისი პოეზიისა გამოყულეველია, რადგანაც ხალხის კულტურული დასწაფებია... მაგრამ როგორმა მშენებელებმა გაშლიდა ვაჟა ღვთაებრივი ნიჭის ღონიერ ფრთებს, რომ ის ისეთივე ძლიერი იყოს მთელ საქართველოს და კაცობრიობის ცხოვრების ცალი-შესწავლაში, როგორადაც მძლავრია ფშავეთის ცოდნაში? მისი ვარსკვლავი ლალად ამოკაშაშებდა და თვისი სიმშევნიერით მოხიბლავდა მთელს დუნიას!

„ვაჟას რომ ნამდვილი ევროპული განათლება მიეღო,“ ამბობენ ზოგიერთები, „მაშინ ის ორგინალობას დაკარგავდა და შეიძლება ისიც არ დამდგარიყო, რაც ეხლა არის.„ ჩვენ ასეთი აზრი შემცირა აზრად მიგვაჩინა და გვგონია, რომ ევროპულად მომზადებულ-განათლებული ვაჟა თვის „ყველის ქამიას“ „ფასტებურ“ ლრმა ფილოსოფიურ და მხატვრულ ნაწარმოებად გადაკქმნიდა და თვის თავს და თვისი სამშობლოს აღიდ - ასახელებდა და ღიდის ანბნებით ჩასწერდა მსოფლიო ლიტერატურაში. განა განათლება — განვითარება თავისებურობას ხელს უშლის? განა ის მწერალი არ არის ნამდვილი ეროვნიული მწერალი, რომელიც თავისებურ ადგილობრივ ფორმებში ხატავს მსოფლიო აზრ — იდეას? განა ტოლსტოის, დოსტოევსკის, ტურგენიევს, გოგოლს, თავასებურობა მრავლდათ იმითი, რომ მსოფლიო, საკაცობრიო მოძღვრებას ქადაგოდენ?

ვინ არ იცის, რომ ლიტერატურა რომელიმე ერისა იმდენად ეროვნულიცაა. რა-მდენადაც ლიტერატურული შესანიშნავი შეიტანა მსოფლიო ლიტერატურის სალაროში.

ვსთქვათ, რომ ევროპულად ლრმა განათლებამ ვაჟას ნაწარმოებებს ეტნოგრაფიული წვრილმანები ჩამოაშორა, მთიული ელფერი შეუსუსტა მაგრამ ეგევე განათლება ხომ გააღმავებს მისს ჟსიხოლოგიურ ანალიზს; გააფართოებს მისს მსოფლ-მხედველობას, ჩახედებს კაცობრიობის ცხოვრების უძირო ჯურლმულში

და ამასთანავე ეროვნულს ნიადაგზე ამო-
აქსოვინებს მსოფლიო ტიპებს.

ევროპაში, კერძოდ ჩუქუმშიაც, მწერ-
ლობისთვის ემზადებიან შეგნებულად,
შეუწყვეტლად, ფართედ, ორმ მწერლის-
თვის ღრმა განათლება აუცილებელი სა-
ჭიროა. ეს ევროპაში აქსიომადაა მიღებუ-
ლი, მაგრამ რაც საზღვარ-გარედ აქსიომაა,
ის ჩვენს კურთხეულ საქართველოში
განმეორებითი დამტკიცებას საჭიროებს.

ანომალია, მა მ ოა არის, როდესაც ჩვენ-
ში ამისთანა მწერლებიც არ ცდილობენ
და არ იწყებენ თავს ჩაუკაირდნენ და შე-
ისწავლონ საფუძველიანად ცხოვრება, რო-
მელსაც სურვილი აქვთ ეს ცხოვრება, მი-
სი სილრმე-სიგანით გადაგვიშალონ თვალ-
წინ?!

ჩვენი მწერლების მომკეტებულმა ნაწილ-
მა იცის მხოლოდ იმ სოფლის ან დიდი,
დიდი იმ მაზრის ყოფა-ცხოვრება, ზე-ჩვე-
ულება და ხასიათი, სადაც დაბადებულა
და ოლზრილა; დანარჩენი საქართველო კი
მისთვის *terra incognita* არის. ქიზიყელმა
და ქართლელმა არა იკიან-რა იმერეთის
და გურია-სამეგრელოსი; მეგრელ-გურუ-
ლმა კახეთის, ქართლის და მით უმეტეს
მთიელების; მომეტებულმა ნაწილმა ქარ-
თველებისამ—სვანეთ—აფხაზეთის და სხვა..
ტფილისში დაბადებული და ოლზრდილი,
მწერალი შეიძლება გავლით ყოფილიყოს
ქუთაისში და სრულებით არ ენახოს ოზუ-
რგეთი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ონი...
და რაღაც ჩვენ არა გვაქვს საქართველოს
სხვა და სხვა კუთხის შინაურ ყოფა-ცხოვ-
რების დამასურათხატებელი მოთხრობები,
ანდა უბრალო აღწერაც კი პროვინციე-
ბის ადათ-ჩვეულებისა, ზე-ხასიათისა, გა-
დმოცემა მოთხრობებისა, ამისათვის ჩვენი
მწერალი, რომელიც **ქართველ** მწერლად
სთვლის თავის თავს, იძულებულია მხო-
ლოდ ფანტაზიას მიენდოს და უმასალოდ
ან მცირე მასალით შეუდგეს ცხოვრები-
სა ტიპების დასურათხატებას. ცველასათვის
ცხადია, თუ რანაირიც გამოვა ეს დასუ-

რათხატება,“ აპრილული, ზერესა და
სურათხატება“ ყოველვის გამოწინებულის-
სხლობორცო, ცალმხრივი, ყალბი, მარჯვენა-
მაზრულის ხასიათისა და ელფერისა და არა
ეროვნული, **ქართული.** იმ მიზეზი, რომ
ჩვენ ჯერაც არა გვაძეს რთული ნამდვი-
ლი ეროვნულის ხასიათის რომანი!

ნამდვილი რომანის შემქველი მიზნად
ისახავს ცოცხალი სურათებით და ფერად-
ფერადად დახატოს საზოგადოების ცხოვრე-
ბა, გვაწვენოს, ჩაგვახედოს, თუ როგორ
ვცხოვრობთ ჩენ, დიდი და პატარა, კარ-
გი და გლახა, მდიდარი და ღარიბი; თუ
როგორ ვვრძნობთ და ვმოქმედობთ, რა
გვაინტერესებს და რას მივსდევთ, რის-
გვე შინია და რისი იმედი გვაჩის.

საზოგადო ცხოვრებას ომანის დამწერი ჩვენ გვისურათხატებს ომელიმე გმირის ცხოვრების აღწერით; ასე რომ ომანი წარმოადგენს ნაწარმოებული გაშოკვანილ გმირების ტიპიურ პოეტურ ბიოგრაფიას. გმირის ან გმირების ცხოვრების აღწერის დროს ავტორი გვაცნობს ჩვენ თავდაპირველი იმ პირობებს და ცხოვრების მორთულობას, რომელთა ზედგავლენით იზრდება-ვითარდება გმირი გონებრივად და ზნეობრივად: გვაცნობს მისი რწმენა შეხედულობას, მიზანს და ნების მიმართვას. შემდეგ ავტორი გვიხატავს გმირის ცხოვრება-მოქმედებას, რაც ლაც შედეგი და ნაყოფია მისი უკვე შემდგარ-შეკეცებულ რწმენა-შეხედულებათა, -გვიხატავს სუკველაფერ იმას, რაც გმირს უგრძენია, უფიქრია სხვა და სხვა მდგომარეობაში. ბოლოს მწერალი აღნუსხამს იმასც, თუ რა შედეგები მოჰყავა გმირის ცხოვრება-მოღაწეობას.

ამნაირად რომანი რამოდენიმე პირის
ცხოვრების კერძო აღწერით გვიხატავს
სურათს მთელის საზოგადოების ცხოვრე-
ბისა რომელიმე ეპიქაში.

მნიშვნელობა რომანისა დიდია. თუ რომელიმე კულტურულ ერს არა აკვი კარგი რომანი, ეს დიდად საკრძნობი წაკლია, თითქმის იმისი უტყუარი მაკვე-

ნებელია, რომ ამ ერთს ლიტერატურა მხოლოდ და ბოგინობს, წინსვლა-განვითარება არ ეტყობა, საზოგადო ცხოვრების სარკე არ გამხდარა და მაშასადამე არაფერი ზეოურივ-გონებრივ გავლენას ვერ იქმნიებს ცხოვრებაზე. გაიხსენეთ გავლენა საზოგადო ცხოვრებაზე დივვენისია, ტევკარეისი, ბიჩერ სტოუსი, დოსტოევსკისა! პირველი და მეორის რომანებმა გამოიწვეს ინგლისში სკოლის და თავშესაფრების რეფორმა-გაუმჯობესობა; მესამისამ—ხელი შეუწყო ამერიკაში ზანგბის განთავისუფლებას მონაბისაგან; დოსტოევსკის „Записки изъ мертваго дома“-მ გამოიწვია კატორლელების ცხოვრების გაუმჯობესობა. გავიხსენოთ აგრეთვე რომანები ლ. ტოლსტოისა, ზოლასი, ტურგენევისა და სხვ.

ჩვენ არა გვაქვს ასეთი ფართო კონკრეტულის რომანები... და ან გვექნება კი როდისმე, თუ ჩვენმა მწერლებმა იმ მე-

თოდით და იმ პირობებში ჰქმნეს, როგორც ასეთი იმყოფებიან კულტურული თოდითაც ასეთი ჰქმნიან?! შემდიოცება ჩვენ მხოლოდ გვაქვს ნიკიერი ცდა ეროვნულ რომანისა? ვგულისხმობთ ჭობადეს, ყაზბეგს და უმთავრესად კი ეგნინოშვილს... ცხოვრების სიღუბჭირები და ქართველურმა გულლიკობა-დაუდევრობაში შეჰქვეცეს ფრთხები მათი მხატვრულ ფანტაზიას და ადრე მოულეს ბალო მათს ნაყოფიერ მუშაობას. სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ ჩამოთვლილი მწერლების ნაწარმოებში აწერილია პროვინციების წოდებათა და კლასთა კერძო წარმომდგენელი. მაშასადამე მათში არ არის დასურათხატებული მთლიანად სიზოგადოებრივ-ეროვნული ცხოვრება; მათში მხოლოდ მცირე ნაწილია აღნიშნული ამ ცხოვრებისა, ერთი მეთედი, ერთი მეოცედი იმისა, რაც უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილ საზოგადოებრივს რომანში.



ჩემი სიმღერა

ტ. ტაბიძე.

საფლავის ხმაზედ მოთქმა, გოდება
მოსწყინდა სულსა ცრემლით განბანილს.
ალთქმის ქვეყნისკენ მიჰქრის ოცნება,
ჯალათს დიდების ვამარცხებ სიკვდილს.
ალახვეთ ბჟენი... ბედის კარები!..
მოვა თავადი ძლევის დიდების.
მოეხსნა ლტოლვის არწივის ფრთხები,
ვპოვე სავანე ბეღნიერების...

ალარ მაშინებს ჩურჩული ღამის,
აწ თვით მევე ვარ მეუფე უამის,
აწ თვით მეფე ვარ ბედის მჭედელი,
წყვდიადში გაჰქრა სევდა ნალველი.
მოსწყინდა სულსა მოთქმა, გოდება
უკვდავებისკენ მიჰქრის, მიიღტვის
ზეცას უამბობს, გადაფრინდება,
თუ სოფლად ხალხი, როგორ იტანჯვის,
ალახვეთ ბჟენი... ბედის კარები
მოვა თავადი ძლევის დიდების
მოეხსნა ლტოლვის არწივის ფრთხები
ვპოვე სავანე ბეღნიერების...



ფიქრები და შენშვები.

ଓର୍ବିନ୍ଦୁ
ପାଠ୍ୟଗଣ୍ଡଳୀ

ତେବେଳୁର ଏବଂ ଲୋକର ଜୀବନକୁ

W.

VII

წინა წერილში უცვე ვსთქვი, რომ
ქართველ საზოგადოების ხასიათსა და
ჩვეულებაშია მეთქი ჩვენი სკენის სისუს-
ტე: განმეორებულ პიესებზე საზოგადოე-
ბა არ ესწრება, რაც გინდ საინტერესო
იყოს თვით პიესა და მხატვრულ-ხელოვ-
ნურიც მისი შესრულება.

ეს აზრი თუ მართალია, თუ ჩემგან
შოუვანილი ფაქტი სწორია, მაშინ უწი-
ნარებს ყოვლისა სწორედ ამ გარემობას
უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება და
ყველანი იმას უნდა შევეცალნეთ, რომ
ამ ხასიათსა და ჩვეულებას სხვა მიმარ-
თულება მივსცეთ, საზოგადოების მოთ-
ხვენილება მართებულ კალაპოტში ჩავ-
ყენოთ; უკოდინარობისა და უგუნურე-
ბის მაგიერ საზოგადოებაში დავძიმევიდ-
როთ ცოდნა, მართლ-მსჯელობა და სწო-
რი აზრი თეატრისა და სკუნის შესახებ.

ერთხელ და სამუდამოო ფრთა უნდა
შეეკვეცოს იმ ჯგუფთა სურვილს, რო-
მელიც განმეორებულ პიქსებს გაურბის,
იმ არამკითხე ჭირისუფლებს, იმ ჭკუის
კოლოფებს და ნამეტნავად რეცენზენ-
ტებს და კრიტიკანებს, რომელნიც ყო-
ველს წარმოდგენაზე ახალს პიქსებს თხოუ-
ლობენ. ამ ვაჟაბატონებს უნდა გავაჰები-
ნოთ, რომ ისინი ძალზე სცდებიან და
შეუძლებელსა თხოულობენ, უნდა ჩავა-
გონოთ, რომ მათი ბლზლუნი მავნებელია
და უმართებულოვანი.

Ծանոթագրությունը պահպանվելու համար առաջին անգամ կատարվել է 1920 թվականի մայիս ամիսին՝ Արքայի աշխատանքներում առաջարկված աշխատանքների ժամանակաշրջանում:

კივრობა თეატრისადმი ცალმხრივი და
ყალბია, თქვენი სიყვარული ეროვნული
ხელოვნებისადმი ფუქსავატური და ბავ-
შურად ახირებულია...

რაც უნდა ბევრი ილაპარაკონ ამ ვაკ-
ბატონებმა თავიანთი ვითომდა განვითა-
რებულ გემოვნებასა და მოთხოვნილება-
ზე, რაც უნდა მაღალ ფარდების საზო-
მით იქცეტყველონ ჩვენი სცენის დაცემა-
უფრულობაზე; მე მაინც ვიტყვი რომ
იმათ ქართული თეატრი და სცენა არ
უყვართ...

ოქეენ წარმოიდგინეთ სამხატვრო გა-
მოფენის დამსწრე-მაყურებელი, რომელ-
საც გამოიფენაზე აინტერესებს შხოლოდ
სურათების სიუკეტი (შინაარსი—ფაბუ-
ლი); ასეთი მაყურებელი იფასებს და
სტკბება იმით-თუ რა არის დახატული
და არა იმით-თუ როგორ არის დახატუ-
ლი. ასეთს მაყურებელს და დამფასებელს
შე ვერას დროს და ვერას გზით ვერ და-
ვარქმევ ნამდვილ მცოდნეს და შეგნებულ
რამდასებროს.

სელოვნებაში უწინარეს ყოვლისა
საინტერესო და მნიშვნელოვანია ის კი
არა-რაც არის, არამედ ისა თუ როგო-
რი არის.

VIII

თეატრის ნამდვილი მოყვარული და
ხელოვნების მცოდნე-მოკეთე თეატრში
არა მარტო ახალი პიესისათვის ქსრება,
არამედ თვითონ პიესის შესრულება, წარ-
მოდგენა და თამაშობა აინტერესებს. სცე-
ნა მსახიობთა ხელოვანობის, მათი ძლიე-
რების და მრავალ ფეროვანობის ტაძარია
და ნამდვილი მაყურებელ-მსმენელნი კი მხო-
ლოდ ხელოვნების საჭირებად მოდიან თე-
ატრში.

ურიელ აკასტას ოოლში ნახვა ვლ. მესხიშვილისა სულ სხვა არის, ვიდრე რობ. ადელგემისა, ჰამლეტი სუმბათა-შვილისა სულ სხვაა ვიდრე მურომცევისათუ დალსკისა; როსი და სალვინი სულ სხვა და სხვა ინტერესს იწვევდნენ მაყურებლებში ჰამლეტის, ოტელის თუ მეფე ლირის ოოლებში. ყველა ესენი, მიუხედავად იმისა რომ, ძველზე უძველეს პიესებში თამაშობდნენ, მაინც ყოველთვის წარმოადგენენ ორიგინალობას, თვისებურობას, სიამოვნების წყაროს, ესტეტიური კმაყოფილების ნაკადულს...

ეს კიდევ არაფერი: ხშირად მსახიობი ერთსა და იმავე ოოლში სხვა და სხვა ღროს სულ სხვა და სხვა შთაბეჭდილებას იძლევა, სხვა და სხვა ზედ გავლენას ახდენს მაყურებელზე.

ნამდვილი ხელოვანი, ნამდვილი შემოქმედება, მხატვრული ნიჭიერება იმით არის საგულიხმიერო და შესანიშნავი, რომ იგი დღითი დღე და დრო გამოშვებით ჰქმის ახაოს სურათებს, ახალ ფერადებს, ახალ წვრილმანებს, იგი უფრო აღრმავებს გრძნობათა აღტყინებას, უფრო ამახვილებს სულიერ მოძრაობას — ემოციებს.

ვისაც თეატრში მარტო ახალი პიესები ახალისებს და არა ხელოვნური შესრულება ძველის თუ ახალის ნაწარმოებისა, გარწმუნებთ, იგი ძლიერ დაბლა სდგას მხატვრულ-განვითარების საფეხურზე. აშკარაა რომ ასეთ ცალმხრივ მაყურებელს სრულებით არ შეჰვერის თეატრისა და სცენის შესახებ კანონმდებლობა, თავის ყალბი მოთხოვნილების წინ წამო-ყენება.

გამუდმებით ახალიპატესების ნახვის მსურველთ ვურჩევთ სინემატოგრაფებში იარონ და აკი დადიან იდევკ; ხოლო ნამდვილი ხელოვნების მოყვარულთ სინემატოგრაფი ეჯავრებათ, რადგან იქ მარტო თვალი ერთობა, ხოლო გრძნობა-გონება ყუჩდება.

ამით მე ის არ მინდა ვსთჭვა, რომ ახალი პიესები ნაკლდბად იქმნებიან წარმოდგენილნი, მაგრამ მათი გინმეორება, და საუკეთესო მათგანის მრავალ გზით წარმოდგენა აუცილებელია.

მე ვამბობ და ვამტკიცებ, რომ საზოგადოებამ თავისი მხატვრული მოთხოვნილებათა სათავეში ჰქმარიტი ხელოვნება უნდა წარმოაყენოს და არა სიახლე და სენსაცია.

რაღა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრი დრო გაივლის, ხელოვნების ერთგული მსახურნი და მუშავი ჯერ კიდევ ბევრ სისხლს გაიფუჭებენ, სანამ საზოგადოება შეიკნებს ამ მარტივ ჰქმარიტებას, სანამ უმრავლესობა შინაარსით კი არ იქნება დაინტერესებული, არამედ მხატვრულის შესრულებით, ხელოვნურის წარმოდგენებით.

ნამდვილ დამფასებელთ ხელოვნებისას, სცენის ნამდვილ მეგობრებს ან ტერესებთ ყოველთვის თამაში, შესრულება, გაპიროვნება.

თეატრსა და სცენაზე ის უნდა გვიყვარდეს რაც უფრო ღირსია სიყვარულისა და აღტაცებისა — მსახიობნი და მათი ხელოვნება.

სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ჩვენს სცენას და მის მოღვაწეთ კიდევ დიდ ხანს მოუხდება სირბილი და კვალ და კვალ დევნა ახალი პიესების უკან, თორემ მე ჩვენი მაყურებლებისა და ცრუ ჭირისუფლების ხასიათი და ჩვეულება რომ ვიცი, ან არ-სებულ პირობებში სცენა სულის ღაფვას დაიწყებს და მოღვაწენი კი შიმშილით ამოწყვდებიან.

ნეტა მაღა დაუდგება ქართულ სცენას ნეტარი ღრო?!

ტინასტანის თემურელი.

სერ. კლდიაშვილი.

შინასწარმეტყველი ბრძომ განდევნა... ისიც გაიხინა და ულრან შავ-თვალა ტყის გულში დაბინავდა.. ის ლოცულობდა მთვარე-ვარსკვლავებზედ და მტრდის ფერ განთიადს საღამს უძლვნიდა. ნაძვნარის შრიამული საამო ხმებზედ უმღერდა და უვარცხნიდა გაბურდნულ გრძელ თმას.. ცისარბინდისას დალვრემილი დადიოდა და ვერ ამოეშალა ხსოვნიდან პიტარა ბავშვი, რომელიც მის ფანჯარასთან ვარდებსა ჰყიდდა... ის იყო ნორჩი; როგორც ახალი გაზაფხული და სპეტაკი, როგორც ცისკარზედ გადაშლილი კუკური, რომელიც ეტრფიალება ციურ ნამს... ჭაბუკი ძლიერ უყვარდა შინასწარმეტყველს, რადგან ერთათ ერთი არსება იყო, რომელსაც უყვარდა უველასაგან შეძულებული და გაკუცული წინასწარმეტყველი... ბავშვი ყოველ დილას ყიდდა კონა ვარდს და აღტაკებით სოფელში ბრუნდებოდა..

უხმო განთიადისას ამოგორდა დიადი მზე... ნაძვნართა თავები, მიჯნურნი მზისა თრთოლვით ირხეოდენ, იფშვნეტდენ თვალებს და მოსციოდა ციური ნამი, ქალწულის ცრემლთა მძივები...,

სალამი შენდა, სალამი...

შავ თვალა ტყე ვარდის სამოსელში იხვეოდა... გლოვის მანტია აზიდულ მთების უფსერულში გადაიჩეხა... ცისკრისას მკვიდრდებოდა მშვენება, იღვიძებდა ტყის შრიამულში სატრფოს ციური კისკისი ტორლის ცათ ატყორცნილი ხმა..., ტყის შრიამული, ნაძვნართა რხევა ოქროს მიონათ მიმოიბნევა და ხის ტოტებზედ ნიმფები დაფრინავენ... ისინი მშვენიერნი არიან და თეთრნი-ვით ჰაერში მოთამაშე კექლუცი თოველის ფიფქი... გძელი თმა, სიყვარულით გამომზირალი გიშრის თვა-

ლები... პო რა გრძნობის ამშლელი ზღაპრული სურათია...!

გაზაფხულის ფერიამ ბუჩქნარიდან თავი ამოყო და მოტირალე შინასწარმეტყველი შენიშნა...

— რას სტირი მოხუცუ? ნაზათ ეკითხებოდა ფერია, განა არ მოგწნოს ტყის შრიამული დი ღვთაებრივი ნიმფები? აქ მწუხარებას არა ქვს ბინა... ჩვენ მწუხარება არ ვიცით გარდა სიცილისა და კისკისისა... მოიშმინდე თვალებიდან მწუხარის ცრემლები და დაუკავშირდი ნათელ განთიადს... ჩვენ, ტყის ნიმფები გვირვენს მოგიშნავთ და თეთრ წვერებში კუკურს ჩაგინდევთ. იცინე, იცინე დაუსრულებლივ ისე როგორც ჩვენ..! განა სიხარულისათვის არ გამოეშურე ჩვენსკენ.?

— არა ფერია! შეა ღამისას, ოდეს ქვეყანას ბნელი ნისლი თავს გადაჰკროდა, სამრეკლოს ზარები ჩამოვკარ და მდუმარ სოფელს ძილი დაუფრთხე... უგუნურმა ბრძომ არ დამინდო და გამნდევნა... მე მათზედ არ ვდარდობ, მხოლოთ ჩემს სოფელში ჭაბუკი იყო... ის ვარდებს ჰყიდდა და მისი მოშორება მუნელა..! მან მწუხარებით თავი ჩაკიდა და გულის სილრმიდან კვნესა ამოუშვა...

— ნუ კვნესი მოხუცუ! შეევედრა ფერია და მოხუცს მოწიწებით აკოცა.. კოცნამ გამოალვიძა წინასწარმეტყველი... მის წინ ყოველივე გალამაზდა და იმედის მზე შეთამაშდა...

— არ ვიამა ჩემი კოცნა?

— ვით დიადი მზის სხივები..! მან წარსული მომაგონა... ერთხელ აღდგომისას ჭაბუკმა ისე მაკოცა..!

ფერია ბურდებში მიმართა..! ტყეში ნამ ფების გამოძახილი გაისმოდა..- ხანდისხან

ნაძვნარს მოფარებულნი აჩრდილივით ქურდულათ გამოიხედავდენ წინასწარმეტყველისაკენ და მგზნებარეთ გადაიისკისებდენ.. ხმა ტყის კალთებში განიპნეოდა და ცის ლავარდ ეთერისკენ მიჰქოდა, მიისწრაფვიდა..

ახ, მარტოობა, მარტოობა! რა გულის მღრნელი, რა ეჭვის მბადე! სული სოფელს შეეთვისა... დაუკავშირდა. თუმცა სხულდა კაც-ნათესავი..! აბობროქებულ ქალაქს, ტირილს, კიუინას, ვაებას, ცრემლს სიცილს და სიხარულს... ახ! არა, იქ საიდანაც იშვა! რა უყოთ, რომ ძილ დაფრთხობილმა ბრძომის განდევნა? განა ცხოვრების დასაწყისს სარჩულათ ცოდნა არ უდევს.?!

... და ჭექა-ქუხილში წანასწარმეტყველი სოფლისკენ ბრუნდებოდა.. მიდიოდა მშფოთარე ქალაქისკენ, იქ-სადაც ჭაბუკი ყიდდა გაუშლელ ვარდებს!..

.. მაგრამ იქ „ნორჩი“ ჭაბუკი აღარ დახვდა... და არც გაუშლელ ურვარებულებები ჰყიდდა?! წანასწარმეტყველი ჭაბუკს უცქერდა.. ხედავდა რო ის იყო.. მაგრამ მის ხელში უკვე გაშლილი ვარდები იყო და ჩამოყითლებული, დანაღვლიანებული ფოთლები-აგერ-აგერ ჩამოცვინას აპირებდა... ადამიანთ შორის ის მარტოობას გრძნობდა. ისე, როგორც მთვარე-ფერ მიღეულ ვარსკვლავებ შორის... სოფლის ჰაერი თითქოს ხუთავდა მას, თითქოს ნაცრის-ფერი ბურანი ფარავდა.. დახავსებული მარტოობა ფარვანასავით ადნებოდა მის არსებას... .

განთიადმა უკანასკნელათ ფრთა-ფრთას შემოჰკრა, ისე როგორც ლამბა ოცნებამ და გადაშლილ გულში ვარდის ფერი ცის კიდე ჩაიკრა... სხივი ცის ლაფვარდოვან ეთერში გაიფირუზა და სტყორცნა ობოლ ბუჩქს, რომელზედაც წინასწარმეტყველის ცრემლი, —ციურნამათ ხავერდოვან ფოთლებზედ მოიბნეოდა....

— ს ს ს ტ მ ა წ ჭ ჭ ლ ა ზ ტ ს ს ს —

გმირთა საფლავებთან.

ი. მჭედლიშვილი.

როს მზე ათბობდა ახლად ქცეყანას და იაც ახლად იფურჩქნებოდა, როს სათნოებით გულსავსე ქმნილი ტყეც გასაშლელად ემზადებოდა. როს წყაროები ლაგამ ახსნილნი მთებიდან თავქე მოჩქრიალობდნენ და მიდამონი ნორჩ ჯეჯილებით ირგვლივ საყვარლად მოღალანობდნენ. როს თბილი სიონ გაზაფხულისა შორის მთებიდან სურნელსა პბერდა და უდარდელი სიმღერის თქმითა ძველს ამბავს ყურში ჩამჩრჩულებდა — მივმართე იმათ, ვინცა სიკვდილით ჩვენ მოგვანიჭეს ქვეყნად სიცოცხლე,

ვინც დაიხოცენ სხვათ საკეთილოდ, ვინც იგრძნეს ყრუ და ცივი სიობლე. მივმართე-ვისთვის უკვე ამშრალ ას მშობელთ დაღვრილი ცრემლთ ოკეანე, ვისთვისაც ტურფა ეს გაზაფხული აღარც თეთრია და აღარც მწვანე. ვნახე საფლავი: მხოლოდ-ლა ხავსი გაზაფხულისა ჰუნდა შვენებას, ხოლო გულცივი აღამიანი... ან კი იფიქრებს მათსა ხსენბას?.. ერთხელ იტირეს და იმ ტირილით გარდაივიწყეს სახელი გმირთა, აღარას იტყვის მათსას სოფელი, ბაგე დაიხშეს აღამის შვილთა... .

* * *

(Ցցոնո, Ֆեռնիսեպյուրուս)

Ծանչող և լուսութ, մոյզուղ ջալութ,
մոյզուղ Շենտան, Շեմիծալու, —
մոտեակ Տություն Տանշաղյուն,
նոյ գամֆորազ, հենալուալու!
Վա յլովարեծ, Քլա մըլելովարեծ,
նշուրտյուն արեցը մալու-մալու, —
Շենքա մյերգու, հեմսա մյերգու,
Շյահեոյ, հենալուալու!

Ց. ԱՅՆՅԻՇԽԱ ՀԱ ԿԵԼՈՅԵԶԵՒԱ

Ար վարսկավլացյած, ցուղ-սայլացյած,
կուրճաօծա օյցտ մեխորալու, —
Շենց հիմս ծացյա մո, այուց, օցիա-
լու, գենալուալու!
Ճըռլու—ծածակնու, սատ-մոնանու, —
յրտ-սրտս էյլացյեն, — գամիկովորալու, —
Շենց յև տալունու, Շենտցու մկանարնու,
ոնալուալու, գենալուալու!



ԹԱՎԱՐՈՒ ՀԱ ԿԵԼՈՅԵԶԵՒԱ

ո՞՛Շածատս, 14 տցձ. ՑյուծալաՇվոլուս Տա-
խալեա Տակու վարուղ գրամակուղ լու-
ժանուս արտիստյեծուս մոյը, ծ. ց. ածանուս
մոնաշուլցունուտ թարմուցցենու օյմնա օ.
Կացարլուս 4 մոյմ. կոմեդու ՝ Կոմեդո-
լուունու”.

Ծրուժուն ծալճանու մանուտունուս ռուլս
ասրուլունու ծ-նու ածանուց. Տումանցենուտ
լոնդա ալցունունու, ռում յև թվերանո
արտիստու գուգուս ցերցունու սպյալուցցեծ
որցունու ցարյեմոյեծուս ու տացուս ենոյ-
րյեծուս լա ռոցորու պազելունուս, գլու-
սաւ հոնցելունած հարդարա տացուս ռուլս.

Տեզատա Մոռուս ո. ցրուաՇվոլուս
ուղեծու մոնաշուլցունուս և Տումանու-
լու լոնդա ուղեծուս, ռում ման մո-
լուգունուս ցարապարծա լա Տացեցնու
գուցունուս ուղեծուս տաց-գուց-
ելու կացասուլու էցէւյա. ցանսայուտրյեծուտ
հոյեն պարագունու մոնաշուլցունուս ուղեծու
ման հուցուս մանուտունուս Տակու մո-
լունուս լա ցարցնու Շենցուցեծու թամելուց
մանու (ո. լոյցանու). հոյեն Տեզա դաելուու-

բ...
Եցելու արտիստյեծու ցանունացս ամ հուլ-
նու; մաշրամ ասյ ծոյնեծունու կո արց յրտու:
մշրմնածոյնու ցամոմեթիկցուցեծու, գագու-
ծու յեն, միծնեգուլու տալունուս ցուալու,
լա Տակու նակուտա տամանու լորմած ցաեցեցեծ-
ու սպյալունու, Տագա, մաշրամ ցուլի՛րոյցու
մեն ծոյնու Տուպարուլունու. օյ տցուտ յ-նու
լուցաւ սպյալունու եցու լա մոտ տամանու
սպյալու ծոյնեծունու լա մոեցյենունու ցամո-
ւուծու.

յարցյեծու ուցնեն ծ-նու մագարաց (Կոմեդ-
յունու ցանու), ցանսայուտրյեծուտ մուսու ցում-
ծորունան գածիկնեծու լա Ցորցունու Շենցուց-
ու տացուս Տուպարու լուլունունու, ռում-
լուս գրուսաւ ծոյնու սպյալունունու, հում-
լուս ուղունու մուշունու ցարյեմունու Ցորցունու
Ցորցունու; յ-նու լ. հոյեյինունունու (յ-
լունու). յ-նու Մոռաց (նարցիսա).

յմապոտունուցուտ լոնդա հոյենունուտ աց-
րյունու ծ-նու լ. մցալունունունու Տուպարու
նու ցամուցնու. յև նոյնունու անալունու մուսունու
մուսունու գուցունու գուցունու լա Տուպարունու
տացուս նայունու եցունունու. գուցունու ոյս
սայութեացու ոյս նոյնունունու հուլուունու.

ასევე უნაკლულოდ ჩატარა სტეფან მაკარიშვილის როლი ბ-ნ საფაროვანი.

საზოგადოდ წარმოდგენამ მოწყობრად ჩაითა, მხოლოდ ცოტად ბ-ნი ეკვიდე (ქლესოვი) ხელს ვერ უწყობდა ან სამბლა.

დასასრულს გაიმართა საკონცერტო და სალიტერატურო საღამო, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ ჩვენი ახალგაზდა მგოსნები. განსაკუთრებით მოგვეწონა ბ-ნი პ. ახლაპირელი. მისი „ნიავი“ მართლაც. ნიავისავით მსუბუქი და საამური იყო. მოწყენილი, ნაღვლიანი მელოდია გეუბნებათ, ნუ ჰფიქტობთ, ვინც ჰქუს და მედიდურებს, ყველაზე მაღლა იგი იდგეს და შეეძლოს ბატონობაო, ბ-ნი რ. ბებიაშვილის ლექსი შელლის მოტივით ჰბე-გრავს ნაზია, მაგრამ... ავტორის ტლანქი ხელების შლა და უფერული კილო ამ სინაზეს ელფერს უკარგავდა.

კარგი იყო ახალგაზდა ქურუმი ი. გრიშაშვილი, თავისი ცნობილი „ოცნების კოცნით“. ოღონდ რომ „გენაცვალეს“ ასე წამდაუწმუ რო არ იმეორებდეს,

უკეთესი იქმნება, რადგან ყველაზე უწყის, რომ მას უფრო უკეთესი ლექსტებიც აჭარაში უფერული იყო აგრეთვე ბრძანებულების შვილის გამოსვლაც. ჩვენ უფრო მეტა მოველოდით. საზოგადოება უძახდა მაღლაო, რომ მას კიდევაც გაეთავებინა და მათ „მაღლა თქმას“ — სამწუხაროდ, დუმილი მოჰყავა.

ნარჯანი რომ თავის პოემებით გამოსვლას დაიშლიდეს, უკეთესი იქნება: მას საუცხოვო ესკიზები აქვს, შეუქლიან ამითი უფრო მეტი მოიგოს. ეს თვითონაც იცის, ჰხედავს კიდეც, მაშ რაღას ნიშნავს, რომ ლექსებს ასე რიგად ებლაუკება?

დასასრულს გამოვიდა ბ-ნი ია ეკალაძე. იმასაც კარგა მოზღიული ლექსი ამოერჩია, მართალია, ფრიად საყურადღებო, მაგრამ... ზებირად უციდინარება და სიტყვების ძებნა თვით მას უგულოდ ჰხდიდა და მსმენელი რაღა მდგრამიარებაში იქნებოდენ, ეს გამოსაცნობი აღარ არის.

ხალხი ბლობად დაესწრო.

პინელი პოემი

ას. პრო-ოფიცია.

გამიწყრა ღმერთი (დემონის) და „ც. და ხელოვ.“ ის მე-6. შე „ჩემი ტრაგიზმი“ მოვათავსე, რომლის შინაარს უეჭველია მკითხველი საკმაოდ გაეცნობოდა. გავიდა ერთი კვირა მას შემდევ და ვიღაც „დემონი“ (პილბილ ჭმულით შეწუხებული) ვეებერთელა დიდ პოემას (აი სად არის დემონის ნიჭი?!) ათავსებ ჟურსალაშვრის“ მე 6-ში. ათავსებს მარა

იცით როგორი ტრაგიზმული მუხით არის: შეღებილი? აი ყური უგდეთ: „პინძური ქოჩორი“ (აშ მაინც ხშირად დაციბან თავს ეგებ „დემონმა“ მომიწონს), „ბრაზ მორეული“ (ნეტავ ვინ?) „ლაფიანი ხელი“, „სქელი ტყავი“ (აი ნამდეილი დ—ს მუზის ნაწილი) „ვირის პანლური“ (უფრო ჩემი ტრაგიზმის) „შლაპე ბიჭი“ (აი პოეზია) და კიდევ რა ვიცი რამდენი ასეთი

ოქტო სიტყვებია მის „პოემაში“ (ეტყო-
ბა კარგად უცწკვნია რაღაცას მისთვის).
ერთი სიტყვით, ოფელტც „დემონის“,
თხუზულება გვიყარნახებს, მისი ნიჭი და
ტალანტი უმწვერვალეს განვითარებულ
საფეხურამდის ასულა (კარგი კია ვიცოდე
ჭანტრაკულ პოეტებს ეკუთვნის თუ კეშ-
მარიტ პოეტებს, ვინ იცის შეიძლება იმა-

შიც გამოტყდეს. ვუცადოთ,) დასასოფლ,
კიდევ მაღლობა ღმერთს ხელ და ხელ
რომ არ დამტკედა,, დემონზე უკორესებინ
იცის, როგორ ხსიათს შიოღებდა „,ჩემი
ტრაგიზმი“). არა ერთი ეს მაცოდინა
, „ბინძური ქოჩორი“ რომელ ლექსიკო-
ნიდან ამოიღო?! აღბარ, თვითი საკუთარი
ლექსიკონით ხელმძღვანელობს. (ესეც ნი-
ჭის ნაკარნახევრა. ოცხუს!)

გურიანი სცენა

(ბეჭუბას ნამდვი)

այս. Արականցուա.

დღეს ისეთი დროი და ბოხჩია ჩემი
ძამია, თუ თქვი რამე ციხეში გატკუციე-
ბენ თავს, არ თქვი და ვერც იმას. მოით-
ბენ ცოცხალი კაცი. რაც უნდა დამე-
მართოს ერთი არი ღერი სიტყვა მეც
უნდა ვსთქვა დღევანდელ იუბილეზე. იმ
დალოცვილ ცხონებულ ხელმწიფეს, ბა-
რემ ისთე მოესპონ ბატონ-ყმობა რომ,
მერშე სალინჯილოდ კიდევ არ ვყოფი-
ლიყავი ბატონთან. თქვენი რა მოგახსე-
ნოთ და მე ჯერეც ბატონს ხელში ვარ,
თავი არ დამხსნია და ეხლა რომ მეც
მივიღო მონაწილეობა ამ პრაზნიკში ეშ.
მაკი გაიცინებს. ცხონებულ მამიჩემიდ-
გან გამიგონია, ძველათ, ნამეტანი კუ-
ჭი რომ მოუვიდოდა ყმას, ვეღარ მო-
ითმენდა აიღებდა მაჭახელას შიგ შუ-
ბლში სტკლიცებდა ბატონსათ და ის
ფირალად გადავარდებოდაო. მასთან,
ბუნტობიე, პროპოლონდისტები მაში-
ნაც იყოვო, და ხელმწიფეს შეეში-
ნა და მიტომ გამოსცა. მანიფესტიონ.
არა, ტყვილია, ხელმწიფეს რომ შეშინე-

ბოდა ისეთ მანიფესტს გამოსცემდა, რომ
მიწაც ჩვენს ხელში იქნებოდა. ეხლა მო-
წა ბატონს და შენ, ბეჭუქა ტლინკვათ მა-
რტო. უმიწოთ გლეხი განა შეძლება?!
ეხ! საოქმელი ბევრი მაქვს მაგრამ, თევ-
ზის არ იყოს პირი წყლით მაქვს სავსე.
ისთე, ერთი ყაზახი, მეც ვარ, თუ კუტი
შომივიდა და ერთი დაქანგული მაჭახელა
მეც მაქვს, ავიღებ და ჩემს მტერს და ორ-
გულს შიგ შუბლში გაუჭულებ. მივიდეს
შემდეგ მისმა პატრონმა, უნთოს სანთე-
ლი და უკმიოს საკმელი, ჩემს ლანდს
ეშმაკი ვერ ნახას. დიახ ასთეა.

^{*)} ნამდვილი დრამა, ტრაგედია იქნებოდა.

რედაქტორ-გამომცემელი


6. ლორთქისანი.

କବିତାମାଳା

ଶାକ୍ତନାମେହାନ କ୍ଷାରତ୍ୟଳାଙ୍ଗ ତାର୍ଗମନିଲୀ
ଶେମନ୍ଦୁଲୀପିତ

ବୋଲିନୀ ପାଠ୍ୟବିଜ୍ଞାନିକ ମନ୍ଦିର.

ଓମ୍ପରୀତି ଶୈଳିମୂଳର ଓ ଚିନ୍ତାସିଦ୍ଧିଗ୍ରହାଳୀର ଓ ଲ୍ଲକ୍ଷ୍ମୀନ୍ଦ୍ରିୟ ଫୁଲିତିକ
୦୯୨୩୦୬୦ ଅପ୍ରାପ୍ରିଲ ୧୯୨୩



୪୩୩୦୬୦.

ଏଲ୍ଲାକ୍ଷ୍ମୀ-ପଦ୍ମପଦ୍ମ. ଶ୍ରୀମଦ୍ଦା ନ. ନ. ଶାହସରନିଙ୍କ, ଶାଶବଳିକ ଫ. ତାର୍ଗ.-ଏନ୍. ଶାଶବଳି.

1911,

როსტომიანი



შესავალი.

1. ჯი შემოქმედო, ნუ წამწყმედ, სახმილთა დამხსენ აღია,
თავი ეს არის როსტომთა, ბოლომდი ლექს-მრავალია,
ჟანხოსრომდი გავლექსო, ლეთით ვიტყვი, რა სავალია,
და ნეტარ რა გვიყო სპანდიერ.²⁾ სოფელი წარმავალია.

2. ბრძენნი ვინცა ხართ, გასინჯეთ, სცანთ ჩემი დანაპირობა:
მიბრძანეთ, ფილასოფოსნო, განა სჯობს გვარსა ზრდილობა?!
თქვენ შემახვეწეთ უფალსა, არ მიყოს ჭკვისა მცირობა,
და გამომიჩნდების ლექსზედა აწ ჩემი გულმავეილობა.

დასაწყისი რთსტომიანთა თავი შერველი მანუჩარ ჟელმწიფისა და საამ ფალაგნისა.

3. იყო მანუჩარ კელ-მწიფე, გმირი და სახელიანი,
საამ, ძე ნარიმანისი,³⁾ მორჭმულია, ნიმროზიანი;
მას კელთა ჰქონდა ქალაქი ზუღლი სიმაგრიანი,
და სხვა ძე არ ესვა შედეგად, ჭმუნვით ჯდა გულნაღვლიანი.

4. შემოქმედსა ეხვეწების: შემიცვალე ჭირი ლხინად;
დაორსულდა დედოფალი ტან სარო⁴⁾ და ვარდი პირად.
პირად მზეა ლალის მსგავსი, თუ სთქვა, არის ედემს ზრდილად,⁵⁾
და ედემია პირმეტყველი,⁶⁾ მულდაზარი, სიტყვა-ტკბილად.⁷⁾

5. წალკოტია პირმეტყველი, შემკობილი ედემს არი,
შაქრად იმის საუბარი, კამს⁸⁾ სასმენლად ტკბილი არი;
იადონი რომ ჰყიოდეს, სიტყვა მისი უამ არი.
და ჰეთე სამოთხით მონაბერსა, მუშკ-ამბრისა მოჰქრის ქარი.

6. რა საამ ცნა ორსულობა, მას თავადნი ულოცვიდეს,
ღმერთსა ესვენ მხიარულნი,⁹⁾ შემოქმედსა მაღლი მისცეს.
ყმა-შვილისა ბოძებასა ზაულელნი ინატრიდეს,
და ებატონის ტახტ-გვირგვინსა, მამისებრივ გამოვიდეს.

7. მეცხრესა ოვესა ვაჟი შვა, თმა ესხა გათეთორებული;
პილოტანი და მნათობი, ვით მთვარე პირ-გავსებული,

1) ტექსტს გხრამისავთ დადიანის კადგეჭრის სედნაწერის თანხმად, იხ. ჭ. გ. გ. სახედგადების მუზეუმის სედნაწერი № 406. სხვა უფრო ვრცელი სედნაწერების თანხმად მოცანილია გშაქვს სხლლილებად ვარასტებიც; სხლლილებივე შემოვატანეთ ზოგიერთი გაშებერი ადგილის თუ სიტყვის განმსრტებად. თვით ტექსტი შეგასწორებული და შევასერ სხვა სედნაწერებისაგან 2) ად. თრბ. ნაქონს სედნაწერში სხანდიერ, დანარჩენ სედნაწერი ჟერებში კი—სასანდატ. 3) ა. თ. გარ. საამ არს ნარიმანისე; 4) დად. ცდილი მისა. 5) გარ. დაწეულადი და თვალ წარი-შევი მარგალიტ კინდ-წერბადად; 6) ა. თ. შემგაბიდი; 7) დად. სიტყვა-დაბიდად; 8) ა. თ. ხმა; 9) ად. თრბ. ღმერთს აღუთქვეს სათხევანეთ.

გვანდა პაპასა ნარიმანს,¹⁰⁾ თქვეს საფალვნოდ ქებული.
 და სტავრა-ოქროთა დარბაზი ჩნდა წხევბრ განბრწყინვებული.

8. ასაკი სრული, მკერდ-მკლავი ვაჟისა მათ აქიან და;
 თეთრი იმა ნახა დედამან, დაჭმუნდა, დანალვლიანდა.
 საამ არ იცის, უხარის, ლხინითა განათლიანდა.

და უნახავია კაცთაგან, რაცა მეჯლისი ქმნიან და!¹¹⁾

9. მას სახელად ზაალ დასდევს, ვაჟი კარგად იზრდებოდა.
 საამს შიშით ვერ გაანდო, დედა ლხინით იშლებოდა;
 შეღლნის ტბათა ნაგუბარი თვალთა ცრემლი იღვრებოდა.
 ლალსა ფერი წაუვიდა, ბროლსა გული უკენებოდა.

10. ერთი კაცი დიდებული საამს თანა იყო ზრდილი,
 გამაპირა გამელავნება. მას უჩვენოს დედამ შეილი.
 ბრძანა: რაინდ მოიყვანეთ,—ერთგული და გავლენილი.
 და მას გაანდო, ტარილითა ეუბნების შიშრეული.

11. მის ვაჟისა ეგეთობა გაუტბადა, კელთა მისცა:
 თქვენვე ბრძანეთ,—საქმე ჩემი წაეყიდა სხვასა ვისცა?!
 რაინდ ვაჟის ასაკობა გაუშინჯა, მუნვე მისცა,
 და მოეწონა საფალვნოდ, შემოქმედსა თაყვანი სცა.

12. რაინდ გული დაუამა: რად სქმუნდაო შუქი მზისა?!
 ვაჟსა ლვთისა საფარველი აც ნიშანი სიკეთისა.
 თმა თუ თეთრი გამოსხმია,—ბრძანებაა განგებისა,
 და მადლი მასვე, წალილი და მოსხმა თმისა სპეტაკისა.

13. რაინდ ბრძანა: აწვე წავალ, ფალავანსა გაუშმულავნებ,
 მეშინიან, არ უნახავს, ამ საქმესა მოვახსენებ.
 თვითონ ნახოს შვილი მისი, მოვიყვან და მას ვუჩვენებ,
 და თმის სითეთრე პატივია ლვთისაგან,—მას გავაგონებ.

14. დადგა უშიშრად პატრონთან მან, ჰკადრა სიტყვა კვიიანი:
 წავიდეთ, ნახეთ ქე თქვენი ლვთისაგან საფარვლიანი,—
 აწვე ჰგავს დიდსა ნარიმანს შვენებით, ასაკიანი,
 და საამს იამა, ზე ადგა წასავლად პირნათლიანი.

15. სადედოფლოს შემოვიდა, მისი მთვარე მოიკითხა.
 სირცხვილითა ვერა თქუა-რა, წაუვიდა ფერი დიდ-ხა,
 მას პასუხი ვერა უთხრა, ფალავანმან რაცა ჰკითხა.
 და ვარდი ზაფრად შეიცვალა, ბროლ-ბალაში მოიკიცხა.

16. მას აკვანი წინ მიუდევს, მოხსენება დაუტვირდა.
 თვალ-შავი და პირ-წითელი თვითონ ნახა, რაცა სქირდა.
 თმა-ბამბასა-გაპენტალსა ფალავანსა გაუკვირდა,
 და წყენისაგან უჰქოდ გახდა, გაგდებასა გაუპირდა.

17. ბრძანა: რა ვნახე მაცოური, სით არის ჩვენის გვარისა?!
 ექვსასის წლისა კაცი ვარ, ჩემსა უბერე არისა.

10) ა. ღ. ჭიგავს მამას მისსა ნარიმანს. 11) მე 8 ხანიდან შე 24-მდე ად. თრთ.-ის ხელნაწერში გამოტოვებულია.

მმერთს მოუკიცხავს, ნიშანი არა სძეს ნარიბანისა.

და ასრე დაჭმუნდა, ვითამცა ღვიძლ-გაპობილი არისა.

18. საამ გამდელს გაცაუწყრა, რად მიჩვენე ქაჯი აერთ მიზანისადან? გორჯასპის და ნარიბანის, თქვი, სით არის ნათესავი? ჰმართებს, აწვე დავიკარგო, ან მოვიკლა თვითონ თვი, და ვირემ სკნობდენ, მისცემია საამს შვილი, თმა-არშავი.

19. ბერი შვილი მისცემია, ნუ დააგდებთ, ზაულს, კმასა, თვარა აწვე დავიკარგვი, გავცურდები შიგან ზღვასა. ორი კაცნი შინაურნი მომისხენით, მივსცემ ყრმასა, და სტირის დედა ზალისა, იღუმალად იტყვის ვასა!

20. რაინდ შეგზავნა მონანი მისანდონნი და კუვიანი; მამამ მოაძრო აკვანსა ზაალ ღვთივ საფარვლიანი, მათ კაცთა კალთას ჩაუგდო, ვითა ვარდი და იანი, და უბრძანა: საქმე დამალეთ, არ ვიყო აუგიანი!

21. ცხენს შესხედით, ესე საქმე ქენით კარგა, დამიფარეთ. ნუვის ეტყვით, ქალაქისა თქვენ სამზღვარი გაიარეთ. საუბარი არად უნდა, წაიყვანეთ, მალედ არეთ, და წყალს მიეცით მოსარჩობლად, ანუ შამბა მიაბარეთ!

22. რა მონათა გაიგონეს სამისგან ნაუბარი, კალთაშია გაიხვიეს გლახ-ყმაწვილი გულმღვიძარი. მას დღესა ვლეს სალამომდის, ისწრაფიან, ვითა ქარი, და გარდააგდეს ზღვისა პირსა: ჰგავს, შემცოდე რისამ არი.

23. სტირის დედა ზალისა, ცრემლით შეიქმნა, თუ სთქვა ზღვასა! ქმრის შიშითა ვერას იტყვის, იძახოდა მალვით ვასა: «მიგცეს მეეცთა შესაჭმელად, ვინ დაგიწყებს შვილო, ზრდასა»?! და საამ ღმერთსა ეხვეწების. მან მიაპყრა პირი ცასა.

24. იტყოდა: არსის დამბადე შენ ხარ,-შეისა და მთვარისა, პატრონი გულის სიტყვათა, მცყრობელი კმელთა მზღვარისა. შემწე და შემწყნარებელი ჩემი მრთლისა და მკვდარისა; და შენგან ვითხოვე ყმა-შვილი¹⁾ ჰოცემად საბოძვარისა.

25. სიბერის ჟამსა მიბოძე, ჩვენ ამით გავიხარენით; სევდა უფროსი მოსდევდა, ჭმუნვითა გავიყარენით, ამ საქმისაგან მიშველე და შენვე შეგვიწყალენით, და თუ იყოს თესლი დევისა, ჩვენ მისგან დაგვიფარენით!

26. თუ იყოს შენი ბრძანება, ვერავინ შეგეცილების; მე თუმცა უმეცარი ვარ, ვერა ვიქ, რაც გეწყინების: თავს ვერ გავიღებ უშენოდ, კაცთაგან არ გეგინების, და მოსავი მონდობილი ვარ:—ეს ლოცვით მოგესმინების.²⁾

27. მერე დაჯდა, ზაულელნი გვერდს დაისხნა მოხსენებით: ახლა რომე ყრმა მომეცა, მე³⁾) გამხადა შეკირვებით; იყო რამე ეშმაკური, მტერთა ჩემთა გაცინებით. და ვერ ვიქნებით ნიმროზისტანს, ვერცა ერანს გაჩინებით.

1) ა. დ. ჭმა-შვილი; 2) ა. დ. მოგესმინება; 3) ა. დ. მან.



28. საამისგან გაიგონეს, იგინიცა⁴⁾ იკვირვებდეს; თმა-სპეტაკი დაიბაღოს, ვის უნაზვე კაცს,—ეძებდეს! ანუ ბარტყი ფასკუნჯისა, არცა ლომის⁵⁾ ლეკვი ჰყეფდეს, და მოახსენეს: გონიერო,⁶⁾ აშ იგი ჰქმენ, რაცა სჯობდეს.

29. ღვთის ბრძანებასა ვინ შესცვლის? შიკვირს თქვენისა ჰკვისაგან!.. ნუ მოისვენებ ლოცვითა მაღლისა მიცემისაგან.

იგ ბედნიერი⁶⁾ შობილი რა უყავ ძე დედისაგან?

და მოიძულე და გააგდე!.. რა ავი ნახე თმისაგან?!

30 ზაალს ძიძა არვინ მისკა, არც აქსინოს დაუგებდეს, ლომ-ვეფხვი და ზავის ნიანგი⁷⁾ ჩილს ძუძუსა აწოებდეს. შვილობისა სიყვარული ვინ დაპბადა, მას აქებდეს, და ცის მფრინველნი სურვილითა⁸⁾ მაღლა ბუდეს აიგებდეს..

31. ჰაერთა შიგან არწივნი მაღლა დაიდგმენ ბუდესა, გამაგრდებიან ფასკუნჯინი, გარე მოიდგმენ ზღუდესა.⁹⁾

თეთრი ზალდასტან გააგდეს ბალახთა, გააცუდესა;

და გორვიდა ლეკვი ლომისა, მზის შუქთა დააჭმუნდესა.¹⁰⁾

32. მოვიდოდა განგებითა მუნ ფასკუნჯი ნადირობად, იპოვნა და მან წაილო მართვეთათვის გასაძლობად¹¹⁾ ნება იყო განგებისა: მას უბოძა ძიძობად,

და პირ-აშკმული მკართა ქვეშე შეუგორდა ბარტყთა თბობად.

33. ბარტყთა კორცი დაუხლიჩის,¹²⁾ მუნ უასკუნჯი ნადირობდა; პირსა სისხლი ჩასდიოდა, ზაალ იმით გაძლებოდა,

ტახტად ქონდა ბუდე მისი, გლახ სიმურღი¹³⁾ ძიძობდა:¹⁴⁾

და ვირემ ბარტყთა გააფრენდა, ამ წესითა იზრდებოდა.

34. თეთრია თმა მეტათ აშენებს, იაგუნდს მოუხდებოდა.¹⁾ გაივსო ვითა მთიები, ცისკარსა ედარებოდა.

კელთა კმარება შეეძლო,²⁾ ადგის და იარებოდა,

და ვითა გაუჩნდა გამზდელად, ფასკუნჯსა ემოყვრებოდა.²⁾

35. მასთანა დაჯდის საჭმელად, თუცა ვერ გაძლის პურთა, რა შპაშის, დაწვის, იძინის, კუუა შეესმოდის ყურითა.

შეიტყო რომე არ იყო იგი მათებრი სჯულითა.⁴⁾

და როს გაისინჯვის,⁵⁾ უბნ-ბდის ენითა ფასკუნჯურითა.

36. ზაალ უკან გაეკიდის, რა ფასკუნჯინი დაფრინდიან, მოეწყინის, დაშვრის მეტად, რა იგინი აშალლდიან.

4) ა. ღ. აძს შეტად; 5) ა. ღ. არც გეფხისა; 6) ა. ღ. გონიართ; 6) ა. ღ. ბუდიერად; 7) ა. ღ. დოძი, კუფხი და ნიახგი; 8) ა. ღ. ცის ფრინველი სიეფარულდათ; 9) ა. ღ. გარმდივლებენ ზღუდეს. 10) ა. ღ. დაჭმუნდეს. 11) დადიანისაში: გასაძლებდად. 12) ა. ღ. დაუგლიჯის; 13) ასე თრბ.-ისეულში, ხთდო დადანისაში სიმრუდას. სამურდა-ზდაბრუდი ფრინველია, ას. ლექსიკაში. 14) ა. ღ. ტახტად ჰქონდა ბუდე მთა, გლახ სიმურღი ძიძობდა.

1) თრბ. თეთრია თმა ჰქონდეს, ძალი ტურფად მოუხდებოდის. 2) თრბ. სელი ხმარება მათებრის შეეძლო; 3) თრბ. ქმოყველებიდის; 4) თრბ. იქნა გონებით, შეტყო არ იყო მათის რჯულითა; 5) თრბ. და ზრდა გაისინჯის...

მან მომართის ბუდეესავე, ველარ ნახის, მოშორდიან.

და მუნ სამყოფი გაიჩინა, სად პირველად იგი სხდიან.

37. იგი უფროსი ფასკუნჯი⁶⁾ მას ნადირსა უზიდევდის.

ჭედა ზაალ თამაშობდის, ლომივითა აგორვებდის;

სადამდისცა მრთელი ჰყვანდის, ამ წესითა ნავარდობდის,

და კეუა ჰქონდა კაცობრივი: ვით წესია, ტყავს აძრობდის.

38. შეიტყვის სიცხე, სიცივე, შიმშილი, წყლისა წყურვილი.

ნადირის ტყავი შეფუნიტის, იყვის იმითა ბურვილი.

შეცივდის, ქვეშე დაიგის, იყვის იმისთვის ურვილი.

და გაჲე ფრთა ერჭვის ფასკუნჯთა, ჰქონდა მკობისა სურვილი.

39. წელიწადი ათამდისი იმან დაპყო მუნ ასეთი.

თმანი კოჭთა უფარებდა,⁷⁾ ტან-საროა, ლომ-ნაკვეთი.

ჰყლავ-მსხვილაა, მკერდ-მყაფარი,⁸⁾ კისერ-კუშკი გაუკვეთი⁹⁾

და საამს სჯობდა შვენებითა, არის პაპის მონაკვეთი.

40. ნადირობად მთისა ძირსა ჩამოვიდა ერთსა დღესა;

თმა-უკანით უკუეგდო, ფრთა-მორჭული ეს რისხესა.

თვალ-ნარგისი, მოცინარე, პირის სახე ჰგავს მთვარესა,

და ღაწვი ლალსა ელვარესა, იაგუნდსა მცინარესა.

41. მასვე დღესა ქარავანი მოხვდა სითმე მომავალი

ზაალდასტან დაინახეს, საროსაებრ ტან-ზალალი,

თეთრის თმითა დაბურვილი, პირად ვარდი, შზისა ალი.

და ესე საქმე გაუკვირდა, საუბარი სთქვეს მრავალი.

42. ოთხთა კაცთა ცხენოსანთა ამბეის ცნობად სთქმილა გული —

მიმავალი დაინახეს, მთისკენ იწყო სიარული:¹⁰⁾

დაფრთხა, ვითა¹¹⁾ არ ენახა მისობასა კაცთა რჯული

და მუნ გავიდა მთისა წვერსა. იგ კლდე იყო უგზაული.¹²⁾

43. უკვრეტდეს განცვიფრებულნი, უზომოდ განკვირდებოდეს.

უძახდეს: ღვთის მოყვარეო! ყივილით ეუბნებოდეს.

ზაალს არ ესმის¹³⁾ სიტყვანი, ვით კაცნი არა ხლებოდეს,

და ყოლე არ გასცა პასუხი, მდევარნა დაბრუნდებოდეს.

44. ზალდასტან დადგა დარბაზსა, სიმურღლსა ჰქონდეს გებულნი.¹⁴⁾

თავისა გზასა წავიდეს¹⁵⁾ იგ კაცნი კაკვირვებულნი.

ყოვლგან სთქვეს ესე ამბავნი, სიზმრითა ვით ოცნებულნი;

და აქ ნახა საამ ჩვენება საჩინოდ განცხადებულნი.¹⁶⁾

აქს საამ ფალავნის სიშრის ზმანება.

45. ერანით კაცი მოვიდა, მაშურალი ცხენთა რბევითა.¹⁷⁾

ფალავანთ თავო, ისმინე, ჩვენ გაგახაროთ ჰე ვითა:

6) ა. ღ. უფრთხის ფასკუნჯავე — 7) ა. ღ. უფარვიდის; 8) ამართუ დივით, საბა თრბ.; 9) ა. ღ. თაგ-გისერი გაშეგთ უპეთი; 10) დადიან: მიმავალი და-ნახეს, მთისავ იყო სიარული; 11) თრბ. მით თრმ... 12) ა. ღ. პლდე უე უგზაული. 13) ა. ღ. ქსმნეს..., 14) თრბ. იყო სიმურღთვან გებულნი. 15) დადიან. წა-ვიდენენ. 16) ა. ღ. სჩენებდა გაცხადებულნი. 17) დად.: რბენითა.



ლვთის ბრძანებითა,²⁾ ა) შენი, პირად გავსილი, მზე ვითა.

და ფასუნჯთა გვერდით ³⁾ გაზრდილა ლომი, საროსა ხე ვითა.

46. სხვა ფალვანი მისებრი კმელზედ არ გამოჩნდებას,
ვითამცა ცხადად ⁴⁾ ყოფილა, კმა-მაღლად ეუბნებისა:

სამახარობლო გვიბოძე, ჩვენგან რა გეთხოვებისა,

და აწ აღგისრულდა წალილი ლვთისგან შენისა ნებისა!..

47. ფალვანსა გაელვიძა, აღგა ოფლი მოიკოცა;

დია სულთქმა, შემოქმედსა მაღლი ჰკადრა, რა მაოცა!..

ეს სიზმარი ცხადივ იყო, ტირილითა კულავ ილოცა:

და შემცოდე ვარ, წყალობამან შენშან სრულად არ დაგვეოცა!..

48. რა საწოლით გამოვიდა, კაშანნი გაეყარნეს?

სრულ მოიკმნო ფალვანი,⁵⁾ ყველა დარბაზს შეიყარნეს,
მათ უბრძანა ქვე დასხდომა, ხასნი ¹⁾ მუნა დაიჯარნეს.

და რა უამშო მათ სიზმარი, ვითა მცხადი გაეხარნეს.

49. მაღლი ჰკადრეს შემოქმედსა, ილოცვიდა ღმერთსა ყველა.²⁾

საამს ჰკადრეს: ბოძებითა მისით ღმერთმან გასახელა!

ედვა მისი საფარველი. უწყა ახლა, მან უშველა!

და შენ აწყინე განგებასა, ღმერთმან რისხვა დაგიძველა!

50. იგ ვაჭარნი შემოვიდეს, ფალვანსა ძლვენსა სძლვნობდეს,
მოახსენეს ნახვა მისი, იგ ზალდასტანს ვერ იცნობდეს,

საამს დიდად გაეხარნეს, გულსა სვეტნი ³⁾ ანათობდეს;

და მათ შესწირეს ღმერთსა მაღლი, მხიარულნი ნადირობდეს.

51. ბრძანა: ხვალე წავალ ძებნად, სპანი იხმნა მუნებურნი,

რა გათენდა, მათ ააბეს დროშა, უღერდა ყვირო-შტვირნი!⁴⁾

პილოზედა გამოაბეს ბარგ-კარვები, სპილენძ-ჭურნი,

და ოთხ-ათასნი კარგნი კაცნი წამოვიდეს მხიარულნი.

52. მინადირობდეს, მიღიან ავაზითა და ქორითა,
მიწისა პირსა ღებვიდეს,¹⁾ მკეცი მოჰკლიან შორითა.

მის მთისა ძირსა მივიდეს, ჰგავს ცისა ²⁾ შენასწორითა!..

და შემოზღუდვილი კლდეთაგან, არ ნაგებია ყორითა.

53. მის მთისა ძირსა ტყე იყო, ჩერანი ისმნეს ³⁾ წყლისანი,

კლდის თავსა იდგენ ⁴⁾ დარბაზნი, ნაგებნი სიმურღლისანი,⁵⁾

ტურფად ნაგებნი, მაღალნი, ვით დიდის კელმწიფისანი.

და გვერც ⁶⁾ წყარო გამოსილიოდის, სურნელნი ⁷⁾ ვარდის წყლისანი.

54. საამ ნახა იგ ბუდენი, მაღლი ჰკადრა ღმერთს მრავალი,

თვალნი ჰქონდეს, მას უნდოდა, დაენახა რომ ზაალი,

2) ა. თ. განგებითა; 3) ა. თ. ფასუნჯთა თანა; 4) ჭიათუ ცხადით; 5) ასეა და-ნისეულში, ხოდო დადიანისეულში: რაინდ იხმო ფალვანი, სპანი, დარბაზს შეიგარნეს.

1) დადიანისაში: სპანი; თრბ. მათ წესითა დაიჯარნეს. 2) თრბ. თავ-დადრეპათ ჰქად-რეს მაღლი, იღოვენ დმერთს ეველა; 3) თრბ. სიტევანი; 4) ბატათა საუვარი.

1) თრბ. ღებულის, მხეცნი... 2) დადიან. ცას; 3) თრბ. ისმა ჩერანი; 4) ა. თ. დებე. 5) თრბ. საგები სიმურღლისანი; 6) დად. გვერდს; 7) ა. თ. სუნედნი.



მთასა გარე შემოუვლეს, გზა ვერ ჰპოვენ შესავალი,

და კელი, პირი დაიბანა, ლოცვად დადგა გულ-მხურვალი.⁸⁾ მისული მისული

55. ღმერთსა დიდება შესწირა ფაჭლაურითა ენითა:

მხე, მთვარე, ცა და ქვეყანა, არს წყალობითა შენითა!..

შემინდევ მე, ბრძანებისა რაც შეცილება*) ვქენითა!

და ტკბილად მომხელენ, ნუ მომკლავ ამისთანითა სენითა!

56. მე მიჩვენე შეილი ჩემი, პირველ ჩემგან შეწევნილი,²⁾

შენ ფასკუნჯთა შეავედრე საფარველით დაფარული;

მივეც მეცათა შესაჭმელად, იყო ველთა გაგდებული!

და მე მოვკალ და მოვიძულე, არის შენგან დარჩენილი!...

57. ანაზდ-მოციდა ფასკუნჯი, მაღლით ჰაერთა რებული,

ჩრდილმან დაჭფარა იგი მთა: ჰგავს, მზეა³⁾ შუქ-დაფარული!

საამ და მისი ლაშქარნი უპვრეტდეს⁴⁾ დაკვირვებული.

და მან, ვითა კამან, დახედნა, სად ბუდე იყო⁵⁾ გებული.

58. დაჯდა, უბრძანა ზალდასტანს ფასკუნჯურითა ენითა:

ძე დიდის ნარიმანისი, საამ, ზის ცრემლთა დენითა,

ტახტასან-გვირგვინოსანი ნიმროზს ზის⁶⁾ შუქ-მოფენითა.

და მისი შეილი ხარ, იხარებს ნიმროზისტანი⁷⁾ შენითა!

59. მისგან ეშინის ნიანგსა, თავს ვერ გამოჰყოფს ზღვისაგან.

აქამდი იყო წადილი შენი აქ ყოფნა ღვთისაგან:

ზის შეჭირვებით მას აქეთ შენისა გავდებისაგან,

და მას ბევრი ჭირი უნახავს შენისა გლას ძებნისაგან.

60. ამ ფალავანსა მე მიგვრი, ყოლ ნუ ხარ შეჭირვებითა!

საქმე კეთილად მოხდება, კარგათ იქნება ნებითა,²⁾

ზაულისტანის პატრონად, ნიმროზს დასჯდები ქებითა.

და პატრონად უნდი, შენ მოგცემს ტახტას, გვირგვინსა ნებითა.

61. ზალ უთხრა: მამა შენ ხარ, და გამოსჩნდი ჩემი მზრდელი!

შვილთა გვერდით გაგიზრდივარ, არ მკლებია მე საჭმელი;

ეს სამყოფი მირჩევიან, რომე⁸⁾ მომცე სრულად კმელი,

და ტახტ-გვირგვინი-ფრთეთა ჩრდილი, არის ჩემი მარჩენელი.

62. ფასკუნჯმან თქვა: განგებისა, ცილება არ იქნებისა:⁴⁾

დაგიცა, შენი შენახვა იყო მისისა ნებისა;

მამასა მიგვრი, შეგვედრებ, ზალდასტანს ეუბნებისა,

და ღმერთმან მაგონა,¹⁾ მე მიგცემ, არსებით ვინ იქნებისა.

63. დიდხარ იქნები²⁾ დიდებით ყოველგან სახელდებული,

ერანელთ³⁾ შარიელთაგან პატივით შეწყალებული,

8) რობ. დოცებათ დადგა გუდმეურგადი.

1) დადიანისაში: შეცოდება; 2) რობ. მოწევნიდი; 3) მზასტან; ა. ღ. უქარებდება, 5) დადიან. ედგა; 6) რობ. ნამრთზის; 7) რობ. ზაულისტანი.

1) რობ. ეშინას განგებისაგან; 2) სექმე გეთიალად მოგეხვდების, გარგად იქნები ბედითა; 3) რობ. ვის რობ. 4) რობ. ფასკუნჯმან უთხრა: განგების ცილება არ იქნებისა, დაცა და შენი შენახვა...

1) რობ. და მდგომისა ნებითა; 2) რობ. ერანის; 3) დადიანისეულში ნიმრუზის ზურგი მტკრთანს...

ნიმრობის ზურგი მტერთათვის⁴) შენ ზღუდე-გამაგრებული.
და დაგეჭირების,⁵ გიშველი, მოვალ გულ-გახურებული.



64. არ გეტყუების დლეისგან, რაც ჩემგან დაგეპირების.

იგ დასწვი, მოგცემ ნაფრთხისა,⁶ შევიტყობ, დაგეჭირების.

ფაცხლად წამოვალ, ქარელად, მუნ მასკვლა არ მეჭირების⁷).

და აქავ მოგიყვან, არა ვიქ, შენ რაცა არ გელირების.

65. დასჯერდა და იგ ზალდასტან ფასკუნჯისა შეჯდა ბეჭთა.

აღთრინდა და აიყვანა იგი, მაღლა, მან ჰაერთა.

ფალავანთა ნათესავი, თმა-სპეტაკი სარო ველთა.

და ფრთა⁸) მორქმული, ტყავი ეცვა ლომ-ნაკვეთსა პილოს წელია.

66. რა წამოვიდა, ჰაერთა უჭრეტლენ¹⁾ გაკვირვებულნი,

ღმერთს ადიდებდეს²⁾ ყოველნი, ვართ შენგან დაბადებულნი!

სიმურღი³⁾ დაჯდა, ზალდასტან წამოდგა, სარო ხებული,

და პირად მნათობი, თმა-თეთრი, ლაწვ-ლალი, გაწითლებული.

67. თეთრი თმითა დაბურვილი, ბეჭ-ბრტყელია ლომ-ნაკვეთი!..

ყელ-მსხვილია, ვითა მამა, ნარიმანის მონაკვეთი...

საამ სიმურღს ეთაყვანა, მას მორჩილობს ქუაბულეთი.

და სპარი ღმერთსა ადიდებენ, რა გმისახურეთ ჩვენ ასეთი!?

68. საამ სიმურღს ეუბნების: მაღლამც სუფევ, ვითა მთვარე,
ღმერთმან ეგრე შენ დაგლოცოს, ვითა მე შენ გამახარე,

ვითა დამხესენ შეჭირვებას, განმინათლე ცნობა-არე.

და შენ დაგლოცავ კურთხევითა, ვარ ამისი მოუბარე!

69. ჭკუიანი და გონიერი, ხარ ყოველთა სანატრელი!

შენ ასეთი ზურგი ჰყავხარ, გამოუჩნდი ზაალს მზრდელი,⁴⁾

ლაშქარნიცა დალოცვიდეს, ღვთის წინაშე მან სიტყვანი გააოცნა,

და მერე საამ მეას აკოცა, გარდაავლო ფრთასა კელი.

70. მერე შვილსა მოეხვია, მას თვალ-პირი გარდუკოცნა,¹⁾

ვაშად გნახე, განგებამან, შვილო, ასრე რა მაოცნა.²⁾

სჯულ-წმიდაო,³⁾ ღვთის წინაშე მან სიტყვანი გააოცნა,

და ტახთ-გვირგვინის შესაფერო თვალთა ცრემლი მოიკოცნა.

71. საამ გაგზავნა მოლარე, ბრძანა, აყვავდეს იანი!...

მოიდეს ტანისამოსი მათ, ქუდი გოარიანი.

შემოსეს, მოგვი ჩაცვეს, დგას ოქროს სარტყელიანი.

და თმანი უკანა შევნოდეს⁴⁾ მრავალ-კეც საგდებლიანი.

72. მამისა კაბა არ გრძელობს, ზალდასტან რომ გავესრულდა,
ლაწვთა შვენიან ნარგისნი, მზის შუქი გაუფერულდა!..

ნახა ზაალის შვენება, ფასკუნჯი გამხიარულდა,

და მარჯვენე მხარი გაშალა, ფრთე მოიგლიჯა ფარულდა,⁵⁾

5) თრბ. ბაგიჭირდების; 6) თრბ. იგ დაწვი, მოგცემ ნაგრტენს; 7) თრბ. არ მიმ-ჭირდების; 8) დად. ფთა; 9) დად. დამ-ნაკუეთი.

1) დად. უჭრეტტებ; 2) დად. ადიდებებ; 3) დადიხისეულში: სიმრუდი, უნდა იქს სიმურღი (ს. სიმურღ-ზდაშრული ფრისეული); 4) ად. თრბ. ჭებანი, გონიარ ხარ და კო-გელთა სინატრედი, თჭებენ აგეთა ზურგი ჰყავხარ, გაშოუნდა ზაალს მზრდელი.

73. ზაალს მისცა, დაავედრა, ეს შენ გქონდეს ჩემეულად,
დაგეჭიროს, ფიცხლად დაწვი, შემომივა სიცხე გულად;
შენ მოგმართებ, რა შევიტყობ, მე წამოვალ, ფიცხლა შველად,
და უსაოულდ მოვესწრები, მოვედები ცეცხლებრ ველად!

74. ზაალ ყელსა მოეხვია, ენა ესმის ფასკუნჯური,
სტირის გაყრა ეძნელების, გონება აქვს მას კაცური,
მას სიმურღმან უთხრა რამე საუბარი მუნებური:
და ნუ სტირ, გული დაიწყნარე, ტახტი გიჯობს საქებური!

75. რა ფასკუნჯი გარდაფრინდა, ზაალ ტახტსა აიყვანეს;
გვერდსა უზის მამა მისი, ზაულელნი ეთაყვანეს;
მადლი ჰერდეს შემოქმედსა, მხიარულთა პური შჭამეს,
და სანვაგე მრავალ-ფერი ოქროს ტაბქით მოიტანეს. ^{*)})

76. ზალდასტანს კორცი აქამეს, ოდენ სიტყვითა ნასითა,
ღვინო ოქროსა კოკითა, იაგუნდისა თასითა,
ისწავლა ჭამა კაცური¹⁾ არ საუბრითა ასითა.

და შეიგნო საქმე კაცური და მოსჭრა კორცი დანითა. ²⁾)

77. ცნა თუ ჩვენ ვართ მამა-ძენი და შეიგნო პატრონბა,
ტახტი დადგეს პილოზედა, იძახოდა მაღლად ნობა!
მხიარულნი გაემართნეს, გზა-გზა იწყეს ნადირობა,
და მეუცი მოკვლეს, თუ ნადირი, ვერ ძალ-ედვათ ნავარდობა. ³⁾)

78. დადგიან კარგსა იდგილსა, კარვები ამართიანდა,
ზაალ იგონებს, ვითა ვქმნა, ნადირი რა მოკვლიანდა,
მამისა შეილდსა მოჰქილა, ყოლე არ ეძალიანდა.
და სროლი დაიწყო ისრისა, მჴვრეტელნი დანატრიანდა. ⁴⁾)

79. მან დაისწავლა სახელი, ყოვლისა⁵⁾ იყო მცნობელი!

ზაალის დედის წინაშე გაგზავნა მახარობელი.

საამ შესთვალა: ნუ სქმუნავ, მზე კმელთა⁶⁾ მანათობელი,

და ნულარ მემდური, მოგვარე სევდისა დამადნობელი!

80. ტან-სარო და პირად მთვარე, ჭანგ-მახვილი ხვადი ლომი,
ვპოვე ჩემგან დაკარგული, ფასკუნჯისა განაძლომი.
ვითა გმართებს, დაემზადე, დაგვტვდი, მზეო, ტახტსა მჯდომი,
და შენ დაჰკაზე დარბაზები, გაგვინათლდა ცათა ხომი! ¹¹⁾)

81. სცნა დედამან ზაალისმან, გაუახლდა სული გვამსა;

მას კაცს მისცა საბოძვარი, მრავალ-ფერსა ჰმოსდა ტანსა, ²⁾)

იაგუნდით პირს უტენდა და კელით ჰკრეფს ყირმიზს ლალსა, ³⁾)

და ესე საქმე გაუცხადა, ყველას ესმა ზაულელსა.

*) თრბ. უდრ. სედმწიფეური.

**) ვარ. და ხორცი თქრთს ტაბებითა მოხარშედი მთაცანეს,

1) ვარ, კაცურად; 2) ვარ. ხორცის სწრის იქ ალმასითა; 3) ვარ. მხეცი ნახეს, თუ ფრინველი, ვერ ძალ-ედვა გადასწრობა. 4) ვარ. შენატრიანდა; 5) ვარ. გაგზავნეს; 6) ვარ. ერველისა; 7) ვარ. ცათა.

1) დადიანისეკულში: შენ მოჰქიზე დარბაზები, გვგინათლდა ცათა ხომი! 2) ვარ. უბრა- მნებდა მოხატანსა; 3) ვარ. იაგუნდით გაუტენა ზირი, ხელით ჰკრეფდა დაფსა;

82. ფალავანნი ასვე წამსა შესხდეს წინა მოეგებნეს; ჩამოხდეს და თაყვანს სცემდეს, დალოციან მას, აქებდეს, უროვანები მუშკამბარი გარდაჲყარეს, წამოვიდეს, ცხენთა⁵⁾ შესხდეს, და რა მოვიდეს ქალაჭშიგა, აყრიდიან ლალსა, პკრეფდეს!

83. ჰყიოდიან, მომღერალნი და მუტრიბნი ძლივ ეტივნეს!

პირმზე დედა მოეგება, ვითა სარო, მოეხვივნეს;⁶⁾

თვალთა, პირთა გარდაჲყოცნა, სევდა გაჲქრა, ჭირთა ივნეს,

და იგ აყუავდა, ვითა ვარდი,¹⁾ ედემს შუქნი მოეფინეს!

84. სტავრითა მოფარდაგულსა დარბაზს შევიდეს შეოსანნი, ფალავანნი და ხადუმნი საყვირით,²⁾ გვირგვინოსანნი, არიფნი წინა მიუდგეს, სხდეს ძმღერალნი ხმოსანნი,³⁾ და ბერძულის ხარის კაბებით მონები ზარქაშოსანნი.

85. ვითა ჰმარტებს მხიარულთა, ღამე ლხინით გაათენეს,

ესე საქმე ეკლმწიფესა მანუჩარსუა მოახსენეს:

საამს შვილი მისცემია, გასაგდებლად წაიყვანე!¹⁾

და როდეს იშვა, მასვე უამსა⁴⁾ თმა ბამბასა დაუგვანეს.

86. იგ ფასკუნჯსა გაუზრდია, ჰპოვეს წელსა მეათესა, ტან-საროა, ლომ-ნაჲვეთი იკვირვებენ სიტურფესა⁵⁾ კაცთა ენა არ შეესმის, პირ-გავსილი ჰგავს მთვარესა!.. და მანუჩარსუა გაეხარნეს, ბრძანა მივხედი სიამესა!..

87. სამისებრივ ძალგულად სხეა არვინ დაბადებულა, თუ მისი შვილი მასა ჰგავს დღეს ტახტი ამაღლებულა, ერანის ტახტოსჩისათვის საწუთოო განათლებულა, და ვისაც უყვარვარ, იამოს, ორგულნი შეძრწუნებულა!

88. ნავზარს უხმო³⁾: შვილო, წალი, ვინცა გინდა, წაიტანე, ღიღი სამ მოიკითხე, ჩემმაგიერ ეთაყვანე! შვილის პოვნა მიულოცე, ღმერთსა მაღლი, მასვე ჰმონე, და ჩვენცა ვნახოთ ფალავანი, მოდი თანა მოიტანე.

89. ფრინველიგან განაზარდი, მოუკანე, სპათ ვისურვოთ, ლაშქარნიცა შეისწავლოს, ჩვენნი მჭვრეტნი დავაკვირვოთ, ჩვენ შევმზადოთ მათი საქმე.⁵⁾ მეტად კარგა დავიურვოთ. და ლხინი ვნახოთ, ვიალერსოთ, ჩვენი მტერი გავაცვიფროთ.⁶⁾

90. ნავზარ¹⁾ შეჯდა, გაემართა, ვინცა უნდა, წაიტანა. საელმწიფო ტახტ-გვირგვინი, წანა დროშა გაიმძღვანა,

4) ფარ. ჩამთხეტეს და თაყვანი სცეს. 5) ფარ. ცხენთა; 6) ფარ. ფით სართხია შეიხვავნეს.

1) ფარ. ფით სამთხე; 2) ფარ. საუყროს ფაზრაბაა. 3) ფარ. ბერძნულის დაბრის ფაზრაბა—მანები ზარქსწოსნია, წარეგნიდთა. 4) ფარ. და როდის იშვა, მაშინათვე; 5) ფარ. იშვარუებდეს სიპეტეს.

1) ფარ. ქტილი; 2) ქრანის ტახტისანთოვის; 3) თრბ.-ისეულში ნავრაზეს უხმით; 4) ჭრდანისეულში; ფრინველთაგან გაიზარდა, თრბ.-ნისეულში: მორინეედისაგან განაზარდი; 5) ჩემ შევგაზმოთ; 6) ა. ღ. უალერსოთ, შევლგან მტერი გავამტაროთ, ურცელა რედქციათ—მტერი გველგან გაჭარბებოფროთ. 1) დადან. კელლგან ნავრაზ.

ზაულისტანს მიეწურა, ნადირსა კოც თანის თანა.

და საამს ჰყადრეს: ნავზარ მოვა, მანუჩარის ძე, შენთანა.

91. შესხდეს საამ და ზალდასტან, სპანიც ბევრი გაიტან ნე.

ნავზარ ძესა მეფისასა, ფიცხლავ წინა მიეგებნეს,

მათი ნახვა გაიხარეს,²⁾ ერთმანეთსა ეთაყვანეს,

და ჰგვანან აღვათ მოკლობილთა, ვარდნი ერთად ააყვავნეს,³⁾

92. მარისა მოციქულობა ნავზარ სოჭვა არ დაკლებითა,⁴⁾

ძე მოგცემია, იმისთვის ვარ დიდად გახარებითა!⁵⁾

ზაალ მოსწონდათ თავალთა, უკვერეტდენ გაკვირვებითა.⁶⁾

და საამს ულოცვენ პოვნასა,⁷⁾ დგანან პირ-განათლებითა!

93. შესხდეს, მოვიდეს ქალაქად, ნავზარს აყრიან გუარსა;⁸⁾

სტანით დაფარეს დარბაზი, ტახტს დასხდეს შეუპოვარსა,

ერანელ ზაულისტნელნი ღვინოსა სმენ ხოშ-გუარსა,¹⁾

და წინ მეჩანგვინი უსხედან, ირჩევენ შესაგუარსა.²⁾

94. საამ მოართვა გვირგვინი ნავზარს თვალ-გოარიანი,

მრავალი სტავრა ჩინური, საჩინო სახელიანი.

თავალთა უძლვნა ტაიჭნი ოქროსა³⁾ პირ-ლაგმიანი,

და შეხულეს დღესა წავიდეს ნუზლიან-საჩუქრიანი.

95. ფალავანმან წაიტანა, ვინცა უნდა, თანა მისი,

ძლვენი შეპკრა საკელმწიფო, მანუჩარის საკადრისი

მიეწურენეს, მოეგება წინა მეფე, ვითა თვისი.⁴⁾

და შორიდალმა ეთაყვანა⁵⁾ ზაალ, შვილი საამისი.

96. სამჯერ შორით ესალამნეს,⁶⁾ მიდიოდეს ასრე დიდ-ხა.

კელმწიფეცა გარდაუხდა, ფალავანი მოიკითხა,

შვილის პოვნა მიულოცა,—ჩვენი მტერი მოიკიცხა!

და ზაალ ერთობ მოეწონა, სხვა მის მეტი⁷⁾ არა ჰყითხა.

97. სრათაგან მოეგებიან,¹⁾ ჩანგსა ჰყვრენ²⁾ პირად მთვარები.

ალვას აკმევდეს კელთ ჰქონდათ, ოქროსა მუჯამარები.

ოქროს სარტყლითა მოსილნი იმღერდეს მეჯუფთარები,

და სტვირ-ნალარისა კმისაგან. ყურო, რად მოიკმარები!

98. ერანელთა უხაროდა ზალდასტანის ტახტოსნობა.

მეფე დაჯა ტახტია ზედა იძახოდა მაღლად ნობა;³⁾

საამ გვერდსა გარდიწვია, შეშვენოდა ჯომარდობა!

და მერმე ზაალ შეიყვანეს, მოსწონს მისი თვალადობა!⁴⁾

2) ა. ღ. გაეხარეს; 3) დადიანის ეგედში: და ჰეგას ადგასა მოჭდობილსა — გარდი ერთგან შეიქანეს; 4) ა. ღ. არაგლებულები; 5) ა. ღ. ამითა გართ დიდად გახარებულები; 6) ა. ღ. გაეგორებულები. 7) ჩატრონს.

1) დად. დგინდს სმენ არად უარსა; 2) დად. ინჩევდეს შესაგუარსა. 3) ა. ღ. თქ-რთობა; 4) დად. მაუწერეს მოეგება წინ ჰელმწიფე, გითა თვისი. 5) ა. ღ. მოიგითხა. 6) დად. მოიკითხა; 7) დად. დადნად.

1) ა. ღ. მოეგების; 2) ა. ღ. ჰეგრიდეს გრცელი რედატრიდით — ჰერევდეს; 3) ა. ღ. იზასთა მადლანითა; 4) ა. ღ. ივალეგანი ყარან დასვეს, ჰქონდა სხათა თავადობა, და მერ-ჟე ზაალ შეიწვევს, მოსწონთ მისი თავადნობა.



99. ზაალ მეტად⁵⁾ მოეწოდა რა მანუჩარს თაყვანისცა,
ასაკობა გაუსინჯა, შემოქმედსა ძაღლი მისცა.

ნაძლევი ვარ, აძისებრივ ფალავანი⁶⁾ ჰყვანდეს ვისცა!..

და მოიტანა ზროხის⁷⁾ სახე, ოქროს ლახტი კელთა მისცა.

100. იგი მამას შეავეღრებს⁸⁾ ამანათად ფალავანსა,

რაც ერჩივნოს, მას იქმოდეს, გააგონებთ⁹⁾ ნურვინ ავსა;

გიყვარდეს და ეს გერჩივნოს ყოველსავე სანახავსა,

და აცუნიშანი სიკეთისა, არ უპირობს მტერთა ზავსა.

101. ლომ-ნაკვეთი მკერდ-მკლავისა,¹⁾ აქვს სიფიცხე მას ვეფხისა.

შერმე ჰეკითხა საფარდარსა²⁾ საქმე მისის გაგდებისა;

საამ წვრილად მოახსენა პოვნა ახლის ფალავნისა,

და რაცა ზაალს გარდაედოდა, უკვირს გაზრდა სიმურღისა*).

102. კელმწიფე ამა ამბავსა იყურებს, იამებისა,

ბრძანა: მოილეთ სტროლაბი; მოაბადთ³⁾ ეუბნებისა:

თუ რის ბედისა იქნება, ან ვითა რა მოკიდებისა?!..⁴⁾

და საეტლოშიგა ჩავხედოთ, ვცნათ, თუ რა გარდაედებისა?*)

103. მოახსენეს: კელმწიფეო,⁵⁾ იყავ მისთვის მხიარული!

ზაალ შვილი ფალავნისა,⁷⁾ მამისაგან გაგდებული,

ერანელთა მცველი იყოს,⁸⁾ ტახტის ზურგი⁹⁾ წელ-შერტყმული,

და შვილი მიკვდეს, მოგემატოს შენ დიდება მისგან სრული!“,

104. კრმლითა¹⁾ მტერსა დაგამონებს, ვერ დაუდგამს მეომარი.

მას დევ-ქაჯნი ვერ დაუდგამს, ნიანგნი და უზაბარი.

მათ იცოცხლონ დიდი ხანი, წაცაულონ მტერთა ზღვარი.²⁾

და იგ მებრძოლმა ვერ დალალოს, ანდამატი ვითა მყარი!

105 რა კელმწიფესა ეს ესმა, ღმერთი ადადა პირითა.

ტანს მოაბადნი დამოსნა, აჩუქა ოქრო მილითა.

მერმე მოკეზმა ზალდასტან წესითა, ვათა შვილითა,

და თავსა დაარქო გვირგვინი. საამ აიგსო ლხინითა!

5) ა. თ. ზაალდასტან. 6) დად. ფალავნი ამის მეტი. 7) დად. სთლო სიდია ა. თ. ზრდას, 8) დად. იგ მამას შეავედრა 9) ა. თ. გააგთება.

1) ად. თრი. გარდაჭვთვნა; 2) ად. თრი. შვილით, ესე რამ შარცენა; 3) ად. თრი. რჯულ-წმიდათ; 4) ად. თრი. და თმა ებან გამოქსასებენ; 5) ამ ხსნიდან დაწეულები 89 ხსნამდი თრაბედიანისეული ხელისწერი სრულიად ადარ ერანსმებია დადიანისეულის; თრი.-ისეულში ამ ადგილიდან შედექსე შავიგოდ და კრძალისერი ლექსებით გადმოგვცემს შემდეგს: მშეიდრით დაბრუნებული ზაალის ფარდაური ჭაბათ მთრთვა-მთვაზმენს, მამა სახმისაგნ შეცდისთვის ტახტ-გვარგვინის ბოძებას, ჭართა და ფალავნითა მხრით სახმისთვის შვილის დაბრუნების მიღოცებას და საერთო სისარულისა და დედესასწაულობას; მასარიბლის უხვად დასასწერება. დედისაგნ ზაალის დაბრუნების სმენა და მისი უზომი სისარული და გლახაებიზე და ხალხზე ქოჩინის გაცემა, დედის მხრით მასარიბლის უხვად დაჭიდდება. ქალების მგვიდრთაგნ ზაალის დახვედრა, ქალაქის სადღესასწაულოდ მთრთვა-მთვაზმენა. თვალცურებულია დედისა შვილის შეხვედრა, დედის სისახლით ტირილი შვილის გაწირვისა და დევის ახაბარად ძაბრების მოგზაურება. შვილი საბარენის ასაბარად

106. მოაღებინა საჭურჭლე ჯორია, აქლემებითა.
 მერმე დაჰკაზმნეს ტაიპნი ოქროსა უნაგრებითა,

ჯორი დაღული, აბჯარი, ხაფთანი ბარგისტნებითა.

და სრულა აივსო ლაშქარი ინდოურისა კრმლებითა..)

ხუთი ყოშუბი, ბერძენი, მონანი მკევალიანი,

ჩინელნიც, ყველა ნასყიდი, ოქროსა სარტყელიანი,

ქოს-ნალარითა დაჰკაზმა დროშითა ტან-ნაკვთიანი,

და ზალდასტანს მისცა ყველი სავსენი საჩუქრიანი.

მისი გავდება სახლიდან დედის ბრადი როდი იუთ, არამედ მამაც იგი გააგდე
 დგთის ბრძანებით, და აქე იგი, დეთისავე განგმით, ფრინველების უდინო ხორცის ლოგვით
 გაუზრდა. შემდეგ შემაირე, ფარისხის გრეგორიანის ქე, მოსოქვამს თავის ბედერულ მდგრ-
 აძრულს შემდეგი დექსებით:

ღმერთო გეგედრო, გებარო, სიმართლით სავსებ, უბლებო!

უბრადოთ შებეზდებულებს შენ მიხსნი, მამაწრონებოთ,

ვადრე ვცოცხალვარ, ფავედ წერ ხმირად ვქნა შენი საქებო,

და შეგეთა სიმართლისათვის ჭკეუ უბოძე სამცნებოთ.

ქართველის მეფემ მაბეზდა სემწავეს ერანედოთანა,

არ გამიგოთხეს არაბეთს: უბრძანეს ჩემი წატანა.

წამოვედ, ღმერთსა მიუენდევ, ურ მამაწრეულის სატანა;

და არას ვებოთ, თუ ღმერთი წეადობით იუს ჩემთანა,

რაცა მიწას დაეხარცხსოს, მდვითას ბრძანებით აუგვდება.

ჭარშა არ ამოვა თესლი, მიწით გამწუნდება..

თუმცა არა ზეცაშია, არათდეს არ გაძლება.

და ცარსადნ, შენ მიწა იქეც: ღმერთს ჭმონე და გემვედება!

მდვითს წინაშე ადგიდია ტახტის მაგარ სუდარა.

ჯართა სასაცვლოთ მიწათა გაუთავდების მუდარა,

შესწამს და ჭირ გაძლების, ზოგნი შიგ დაიბუდარა,

და ფარსადნ, იმ დღეს შენ სჯობხარ. მის უბმოუსი გინდარა?

1) ვარ. მეურდ-მედავის; 2) დადიან. სივაძარსა.

*) ა. თ. და ზაადის გარდასაჭადი უბგირს გაზდა ფასტუნჭისა.

3) ვარ. მთაბთა, დად. მთაბთო. 4) ა. თ. მეუჯვამით შეტეციის; 5) ამ ხანას

თბილებისეულში მისდევს შემდეგი ხანა, რომელიც ავლია დადანისეულის: დასხდეს და

ასლად დაიწეს ამისი მეცნირობა, მასგვე აფო რიცხვა ერთობით, სწორობით სახა-

რობა. უფევლია სწორად შეიტვეს ზაადის ბედნირობა. და თქვეს: თუ მისვდების მდვით-

საგან მტერზედ მარაზობა; 6) დადიან. კემჭავისა; 7) ა. თ. სამისა; 8) ა. თ. ერა-

ნედთა იუს ესე... 9) ა. თ. მცველი.

1) ა. თ. მტერთა; 2) უზაარი, resp. უზანია-დადი ხელივი, სპას. ის.

დექსიკონი); 3) ეს ტაქმი ასეა გახტანგისეულშია, ხოდო დად. სეულში იყითხება: მათ

იცოცხლობ დიდხანმდი და წაუდო მტერთა მზდვარა; 4) ა. თ. და იგ მებრძოლთა გერ

დაღალნება... 5) მთაბთა — ხანს: მებედ, ან მთბედ — ბრძენი, მთგვა, ქერქმი სპას-

თა, ის. დექსიკონი; 6) ხაფთანი, დად. ხვაფთანი, ა. თ. ხუფთანი, ს. ხიტან. ის. ხვანს

გევა. ტე. დექსიკონში. ხეუთარი სახელი აუთანდიდო. 7) ა. თ. ააესა სრულად და

ხა ინდურისა კლმებითა.

108. ნიმროზი და ზაულელნი მისცეს გაშინ მანშურითა, *

დუმბულისტნელ-ბუსტ-ინდონი სამამულლო ზღვის პირითა უკულებელი
ჯან-სამისურ ფერზედ დადგეს, კელმწიფესა ჰედრა ვითა,
და სჯულ-შმიდაო, საქმე შენი ქმელს ანათობს მზის შუქითა!

109. შენი სახელი ღვთისაგან ცათამდის ამაღლებულა,

სხვა თქვენი სწორი ქმელზედა არავინ დაბადებულა!

ჭკუა-მამაცობით, მივენებით თქვენებრ არავინ ქებულა,

და სხდეს მოსვენებით, სიამით ჭუეყანა დაწყნარებულა!..

110. ქმელთა სალარო ერთობით თქვენს წინ არ გამოჩნდებისა

სადამდის კაცნი ცოცხალან, ვერავინ გედარებისა;

ტახტისა ფერესა აკოცა საამ, შინ ეთხოებისა,

და შინ წამოვიდა ლომ-გული, ქსი პილოსა ებისა.

111. საამ წავიდა, აქებდეს, უკან მისდევდეს სპანია.

გული გარულნი მიდიან იგი და მისნი ყმანია.

ზაულს მივიდეს, მოჟაზმეს დარბაზი, ტახტი, სრანია,

და ზალდასტან ჰევანდა პილოსა, მუშა-ამბარ-ვერცხლიანია.

112. სპანი და მოქალაქენი გულმხიარულნი ვლიდესა,

წინ მოეგებნეს პატრონსა, ჩანგსა, ბარბითსა ჰკვრიდესა,

თავსა ოქროსა, ამბარსა და მუშესა გარდაპყრიდესა,

და დასხდეს ოქროსა ტახტზედა, ღმერთს მადლსა შესწირვიდესა!

113. რა თავადთა ყოვლგნითა ცნეს, საამ გმირი შინ მოვიდა,

დიდის ძლვნითა წამოვიდნენ, ბარგი მძიმედ აეკიდა;

შინაურნი გაავება, თავადები შემოვიდა,

და თაყვანსა სცემს ყველა საამს, მერმე ზაალს დალოცვიდა.

114. ზაალს გოარსა აყრიდეს, მადლსა იყდიდეს ღვთისაგან,

შეშენარებულო ღვთისაგან და დიდის აელმწიფისაგან,

დღეგრძელად სუფევ ტახტზედა დიდისა დიდებისაგან,

და გულმხიარულად ვიქენებით შენისა ჩვენ ჰკრეტისაგან!

115. მიწისა პირი სავსეა თქვენისა სახელისაგან!

თაყვანსა სცემდეს, მოვიდა მუნ ჯარი თემ-თემისაგან.

რაც სიგლით ქონდა ზალდასტანს მანუჩარ კელმწიფისაგან,

და მათაც დალოცეს, ერთს თვესა ლხინი აქსთ ნაღიმისაგან.

116. ზაალს რაც ნაბოძვარი აქს დიდისა კელმწიფისაგან

ან რაც ჰყვანდა, ან ქონდა გმირისა საამისაგან,

ყველა გაუყო ლაშქართა, მოსწონდათ სიუხვისაგან,

და ზოგთა უბოძა მამული, ვით ჰმართებს პატივისაგან.

117. რა გაისმა ქება მისი, ზაალისკე ყოვლგნით ვლიდეს.

მან აავსნა საბოძრითა შორს მყოფნიცა—დანატრიდეს!

აქებდეს და ყველა საამს და ზაალსაც დალოცვიდეს,

და ლხინობდეს და ნაღიმობდეს, საწუთოსა კელსა ჰერიდეს.

118. აქ საამს წიგნი მოართვეს კელმწიფის მონაწერია,

იმნა სპანი და თავადნი, ვინც უფრო მეცნიერია,

*) მანშური — მოწმობა, დიპლომი, ს. ი. ლექსიკონი.



ცხოვრება და ხელოვნება



რედაქტორი მიმართა ყველა ქართველ მწერლებს, მეცნიერთ და მხატვარ ხელოვანთ
თანაშრომის მიღებისათვის.— განუთვიდებათა რ ე და ქ ტ რ ე ბ ი.

პუბლიცისტიკა	ფ. გოგიჩაშვილი.
სიტუა-კაზმული მწერლობა	შ. არა- ბეგიშვილი.
	(ბელეტრისტიკა).
სიტუა-წყობილი მწერლობა	გ. მაურიშვილი (პოეზია).
პედაგოგიკა	ად. მდიგარი.
მხატვრობა და ქანდაკება	ი. ნიკოლაძე.
ისტორია	ოქმ. ასულაძე.

მედიცინა	გ. დამიაშვილი.
მუსიკა	გ. ფადაიშვილი.
დრამა	გ. შავაგაშვილი.
სასცენო ხელოვნება	გ. მესხიშვილი.
კრიტიკა და ბიბლიოგრ. ა. ვართაგავა.	
ბუნების მეტაველება	ს. აშვილი.
მიმოხილვა	გ. გუნაა.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ლორთქიფანიძე.

დამატებაში იბეჭდება „როსტომიანი“ (ფირდუსის შაჟნაშე) და ღრამები.

ხელის მოწერა მიიღება ქართული თეატრის კასაში, რედაქტორი და წერა-კითხვი
გამავრცელებელ საზოგადოებაში.

განცხადების ფასი ჟურნალის კაბადონზე 1 გვერდზე სტრიქონი 20 კ. უკა
ნასქელზე 15 კ. ტექსტის წინ 15 კ. ტექსტის შემდეგ 10 კ. რუსეთიდან და საზ-
ღვარ-გარეთიდან განცხადებები ორ ფასად.

Адресъ: Тифлисъ, Дворцовая, ө. дворянства, рядом съ театромъ. Редакция „Цховреба да Хеловнеба“. Тел. № 862, რედაქტორი ღია 10—2 ს.

ს ა ხ ა ლ ხ მ გ ა ზ ე თ ი

წელიწადი მეორე

ერგელდებული საბოლოოტეკო და სალიტერატურო
მოველდებულ გამოცემის გარდა გაზეოს ექვება კვირეული
ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა თ ე ბ ა

დამატება გამოვა კვირაობით

გვერდის ფასი დამტებისად: წლით, როგორც ქადაქი, ისე ქადაქ გარეთ ღირს 8 მან.

50 გან., ნახევარი წლით — 4 მან. 80 გან., ერთი თვეთ — 80 გან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (გვირის) 7 კაპეიკი.
აღრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწალება ფასისა: მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 3 მან., 1 მაისისთვის
2 მან. და 1 ივნისისათვის 1 მან. 50 კ.

რედაქტორი ღია 9—7 საათ.

Тифлисъ, редакция »Сахалхо газети».

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ბ ტ რ ი
 კვირას, 20 ოქტომბერის,
 დ ი ლ ი თ

ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ე ჩ მ ც ნ ჩ ც ი ნ

(გუნდის და საფასხანი)

პიესა 4 მოქ. ა. დუმისა.

დასაწყისი $12\frac{1}{2}$ სათურა.

ს ა ღ ა მ თ ი

— უკანასკნელი წარმოდგენი —

1. ე ს ს ვ ე რ პ ლ ი

პიესა 3 მოქ. ა. გედევანიშვილისა.

2. მ ო ნ ა დ ი რ ე

(რონი იმერელი)

პიესა 1 მოქ. დ. მესხისა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი.

პ. მესხის საიუბილეო

დასის მოგზაურობა

. საიუბილეო დასი უკვე შესდგა და ამ მოქლე ხანში დაიწყებს მოგზაურობას და გამართავს მხოლოდ იათო წარმოდგენას იუბილიარის 30 წლის მოლვაშეობის აღსანიშნავად იუბილიარისავე მონაწილეობით შემდეგ ადგილებში: ხაშურში, ყვირილაში, ჭიათურაში, სამტრედიაში, ხონში, აბაშაში, ახალ-სენაკში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, ოჩემიჩირეში, სოხუმში, გუდაუთში, გაგრაში, სოჩაში, ცხანვალში, სურამში, ბორჯომში, ახალციხეში, ახალქალაქში, განჯაში, ბაქოში, ალექსანდროპოლში, ყარსში და ერივანში. ზოგიერთ ადგილებში უკვე შესდგა ადგილობრივი საიუბილეო კომიტეტები და შეუდგა მუშაობას ამ დღესასწაულის ღირსეულად მოწყვეტილების.

